პარასკევი, 1918 წ. ენკენისთვის 27 № 179

ყოველდღიური გაზეთი

პარასკევი 1918 წ. ენკენისთვის 27 № 179

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე—50 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

უკანასკნელი ცნობები

ხაზინაში აღმოაჩინეს ბოროტმოქმედება.

ბაქოში სრული წესრიგია აღდგენილი. ნავთის სამრეწველოები უვნებელნი არიან.

თერგის ბოლშევიკებმა საქართველოსთვის სამხედრო გზით სურსათის გატანა აღკრძალეს.

დასავლეთის ასპარეზზე ამიენონს და სომას შუა ინგლისელებმა და ფრანგებმა კვლავ განაახლეს იერიშები.

გერმანელებმა დასავლეთ ასპარეზზე მტრის 28 ჰაეროპლანი დალუპეს.

საქართველო

ყოველდღიური ორგანო ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა, გამოდის

გერონტი ქიქოძის რედაქტორობით

და

შალვა ამირეჯიბის, ალექსანდრე ასათიანის, გიორგი გვაზავას, რაფიელ ინგილოს, პავლე ინგოროყვას, სპირიდონ კედიას, დავით კასრაძის, ტიტე მარგველაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, პეტრე სურგულაძის, ტიციან ტაბიძის შალვა ტატიშვილის და ლელი ჯაფარიძის უახლოესი თანამშრომლობით.

გაზეთის ფასი: პირველი ღვინობისთვიდან წლის დამლევამდე 25 მანეთი. თვიურად 10 მანეთი. ცალკე ნომერი თბილისსა და პროვინციაში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კაპ.

შაბათს 28 ენკენისთვეს სიღნაღის მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, უდროოდ გარდაცვალებულის, ხარკოვის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის უკანასკნელ კურსის სტუდენტის

გიორგი დავითის ძე რცხილაძის

რასაც გულითად მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ მისი მეუღლე ნინო ჯალიაშვილი-რცხილაძისა.

წირვა დაიწყება 10 საათზე. პანაშვიდი 12 ს. 2—1

ფინანსთა სამინისტროსაგან

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ნებართვით, თბილისის სახელმწიფო ბანკის კანტორამ და აგრეთვე ქ. თბილისის ყველა კერძო ბანკებმა, ამა წლის 25 ივლისიდან განაახლეს მიღება ნაღდი ფულისა, როგორც მიმდინარე (სახელდახელო) ანგარიშზე ისე შესანახად იმ პირობით, რომ ბანკები და კანტორები ვალდებული არიან დაუბრკოლებლივ გაანაღდონ შენახული თანხა მოთხოვნილებისამებრ თანხის განუსაზღვრელად, რისთვისაც თბილისის სახელმწიფო ბანკის კანტორაში დაარსებულია **განსაკუთრებული ხელუხლებელი**

ფონდი ნაღდი ფულისა

ძირითადი მიზანი ამგვარ მიღებულ ზომისა არის განახლება ფულის ნორმალურ ტრიალისა რათა აღდგენილ იქმნეს ახლო მომავალში იმ თანხის განაღდებაც, რომელიც წინეთ იყო შეტანილი მიმდინარე ანგარიშზე და შესანახად ხელუხლებლობა ბანკებში შენახულ კერძო ფულისა უზრუნველყოფილია ამა წლის 18 ივნისის მთავრობის დადგენილებით, რითაც მოქალაქეთ საშუალება ეძლევათ თავისი ნაღდი ფული ყოველ შიშს გარეშე შეიტანონ საკრედიტო დაწესებულებებში.

1—1012—1 კანცელარიის დირექტორი **ს. ქანტურიშვილი.**

მხატვრული სტუდია

ლადია არგონავტიზ

გოლოვინის პრ. 10. **სეზონი 1918—19 წლის**

დღეს პრემიერა ახალი პროგრამის მეექვსე ციკლის

1. **ისპანიური დუეტი.** მუს. ბადიასი.
2. **ტენორიდა რეცენზენტი.** ხუმრობა 1 მოქმ. ს. გოროდეცკის.
3. **სათნოიანი ცოდვილი.**
4. **მწყემსი ქალის სიმღერები.** მუსიკა ვეკერლინის.
5. **აღმოსავლეთის ტავერნა.** ტექსტი ს. ყანჩელისა მუს. ს. კარონას.
6. **გოლანდიელი მატროსი.** მუსიკა დრიგოს.
7. **მთვარე ანათებს.** ლუბოკი.
8. **კუზინა.** სიტყვები პატიომკინის მუს. ნუროკის.

მთავარი რეჟისორი **მ. ლ. მიხაილოვი.** ორკესტრი **თ. ს. კაცის, ბ. ა. გესსის და ნ. ზენდიცკის** მონაწილეობით. ბილეთები იყიდება სტუდიის კასაში საღამოს 7 ს. შესავალი ბილეთი სტოლზე დაჯდომის უფლებით **14 მ. სტუდიასთან არის ამერიკის ბარი და რესტორანი.** ანონსი, ორშაბათს, 30 სექტემბერს საღამო **ნ. ნ. ჩერეპნინის** მუსიკალურ პოეზიის. (2—1782—1)

ამიერ-კავკასიის ბანკი

მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა

თანახმად ამიერ-კავკასიის აქციონერთა საგანგებო საზოგადო კრების ამა წლის 14 იანვრის დადგენილებისა და ფინანსთა მინისტრის ნებართვისა, ამიერ-კავკასიის ბანკი ადიდებს ძირითად თანხას **3,000,000 მანეთიდან 6,000,000 მანეთამდე 12,000 აქციათა მეორე გამოცემით,** თითო აქციის ოცდახუთ თუმნის ნორმალური ღირებულებით შემდეგი პირობით:

1) **გამოსაცემი ფასი** ამ აქციებისა დანიშნულია **300 მანეთი**—თითო აქციაზე, რომელი თანხაც სრულად უნდა გადახდილ იქნეს აქციაზე ხელის მოწერის დროს.

2) შემოსული ფულიდან: ოცდახუთი თუმანი ჩაირიცხება ძირითად თანხაში. ოთხი თუმანი სათადარიგო თანხაში და დანარჩენი ერთი თუმანი აქციის დასამზადებელ ხარჯებისა და მისი საღერბო გადასახადის ასანაზღაურებლად.

3) უპირატესობა გამოსაცემ აქციათა მეპატრონეთ: **ძველ აქციაზე დაეთმობათ თითო ახალი აქცია.**

4) მეორე გამოცემის აქციებზე ხელის მოწერა დაიწყება **1918 წლის 1 ოქტომბრიდან** ქვემოთ ჩამოთვლილ საკრედიტო დაწესებულებებში და გაგრძელდება: **ა) თბილისში,** ამიერ-კავკასიის **ბანკში 1918 წლის 1 დეკემბრამდე ბ) ქუთაისში, სამტრედიაში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, სიღნაღში, გორში, ხონში, სენაკში, ყვირილაში, კავკავში** საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში და ბაქოში—**ნ. ჯაყელთან 1918 წლის 15 ნოემბრამდე.**

5) როდესაც ბანკის ახლანდელი აქციონერები დაკმაყოფილებული იქნებიან თითო აქციით ყოველ ძველ აქციაზე, გაუნაღდებელი აქციათა შეძენის უპირატესობა ენიჭებათ პირველი გამოცემის აქციების ხელის მომწერლებს, რომელთაც დაკვეთილი აქციათა ღირებულების პირველი ნახევარი შემოტანილი აქვთ და მეორე ნახევარი არ შემოიტანეს, რის გამოც დაეკარგათ აქციების შეძენის უფლება.

ამ პირებმა შესაფერი განცხადება და აქციათა ფასი უნდა წარუდგინონ მეოთხე მუხლში ჩამოთვლილ საკრედიტო დაწესებულებებს და პირს იქვე აღნიშნულ დროს განმავლობაში.

6) გაუნაღდებელი აქციები, მას შემდეგ, როდესაც 5-ე მუხლის თანახმად დაკმაყოფილებული იქნებიან ის პირნი, რომელთაც აქციათა შეძენის უფლება დაკარგული ჰქონდათ, განაწილდება პირველი გამოცემის აქციათა მეპატრონეთა შორის; ამათ მე 4-ე მუხლში აღნიშნულ ვადაში უნდა განაცხადონ თუ რამდენი აქციის შეძენა სურთ მეორე გამოცემის პირობების თანახმად; თუ მათ მიერ მოთხოვნილი აქციათა საერთო რიცხვი აღემატება გაუნაღდებელი აქციათა რაოდენობას, იმ შემთხვევაში განცხადებების ძალით და პირველი გამოცემის წარმოდგენილ აქციების მიხედვით მოხდება აქციების შესაფერი განაწილება.

7) აქციებზე ხელის მოწერის დროს აქციონერები მოვალენი არიან თავიანთი დროებითი მოწმობები ცალკე განცხადებასთან წარმოადგინონ შესაფერი ბეჭდის დასასმელად.

8) ხელის მომწერლებს, რომელთაც დაკარგული აქვთ პირველი გამოცემის აქციათა შეძენის უფლება და სურთ ისარგებლონ 5-ე მუხლში აღნიშნულ უფლებით აქციათა მეორე გამოცემის დროს, ვალდებულნი არიან საორგანიზაციო კომიტეტის „კვიტანცი“ები წარმოადგინონ შესაფერი ბეჭდის დასასმელად.

9) ის პირნი, რომელნიც აღნიშნულ ვადაში არ წარმოადგენენ განცხადებებს მოწმობებით და „კვიტანცი“ებით და აღნიშნულ ვადაში სრულიად არ გადაიხდიან აქციათა ღირებულებას, მეორე გამოცემის აქციათა შეძენის უფლებას კარგვენ.

10) ახალი აქციონერები ბანკის **მოგებაში (დივიდენდი) იღებენ მონაწილეობას 1919 წლის პირველ იანვრიდან ისე,** როგორც პირველი გამოცემის აქციათა მეპატრონეები.

11) აქციათა ფასების მიღებაში აქციონერებს მიეცემათ „კვიტანცი“ები, რომლებიც ხელის მოწერის გათავებისა და აქციათა განაწილების შემდეგ შეიცვლება ნამდვილი აქციებით.

შენიშვნა: ნამდვილი აქციები იბეჭდება საქართველოს რესპუბლიკის ექსპედიციაში და დამზადებული იქნებიან **1918 წლის 1-ლ ნოემბრისათვის.** 10—1

სახელმწიფო თეატრი

საოპერო სეზონი 1918 წლ. დირექცია [illegible]

ხუთშაბათს, 26 ენკენისთვეს, დაიდგმის

პიკოვაია დამა

ოპერა სამ მოქმედებად და 7 სურათად, მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: სკვარეცკისა, მოროზოვისა, იანსა, ოვსიანიკოვისა, ზასლავსკისა, ვიშემირსკისა, ბ.ბ. კანშინი, ბალაბანი, ზუბარევი, დემიანენკი, კურბატოვი, ორლიუკი, ვოლიანსკი.

დირიჟორი **სტოლერმანი.** **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

კასა ღიაა დილის 10—2 საათამდე, ხოლო საღამოთი 6-დან სპექტაკლის დამთავრებამდე.

ანონსი: შაბათს 28 სექტ. **„ევგენი ონეგინი“**, 29—**„ფაუსტი“**, 30—**„ტოსკა“**.

1—1013—1

ქართულ-გერმანულ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 29 ენკენისთვეს, ფრეილინის ქ. № 11 დილის სრულს 12 ნახევ. ს. გაიმართება

საჯარო ლექციები

1) არტ. ლაისტის: ქართული პოეზია.

2) ჰაინ: ქართული ლექსები გერმანულ თარგმანში.

რადგან ლექციები დაიწყება სწორეთ 12 ნახ. საათ. ვსთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას, სრულს 12 ნახ. საათზე მობრძანდენ დარბაზში. 4—2

ბაქოს აღების მნიშვნელობა

18 მარტს, როცა ძველ ეროვნულ საბჭოში საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ კამათი სწარმოებდა, სხვათა შორის ვამბობდი: „უეჭველია, რომ ოსმალეთის ზოგიერთს პრეტენზიებს, ამიერ-კავკასიის მიმართ რეალური საფუძველი აქვს... საქმე იმაშია, რომ ადერბეიჯანში იმავე რასიული წარმოშობის, იმავე რწმენის და ზნე-ჩვეულების ხალხი სცხოვრობს, რაც ოსმალეთში, თვით ლიტერატურული ენაც კი ერთი აქვთ. განსხვავება მხოლოდ ისტორიულ ტრადიციებშია: ადერბეიჯანი წარსულში ან ცალკე სახანოებს წარმოადგენდა ან სპარსეთის სამფლობელოში შედიოდა. მაგრამ დღეს ასეთ მცირეოდენ განსხვავებას აღარ აქვს მნიშვნელობა. დღეს ჩვენ თვალწინ ეროვნებათა კონსოლიდაცია ხდება. მოსალოდნელია, რომ გაერთიანების სტიქიონური პროცესი თურქულ მასსასაც მოედება: ადერბეიჯანი ალბად ოსმალეთთან შეერთებას ან შეკავშირებას მოისურვებს. გეკითხებით, რა ძალა გვაქვს ან რა უფლება, რომ ამ დიდ სტიქიონურ მიდრეკილებას წინააღმდეგობა გავუწიოთ? ყოველ შემთხვევაში ერთა თვითგამორკვევის პრინციპის მიხედვით არ შეიძლება ასეთი წინააღმდეგობის გამართლება.

სომხური მოსახლეობა სოლივითაა შეჭრილი ოსმალოებსა და ადერბეიჯანელებს შორის. მაგრამ ამ ორი თურქულის რასის გათიშვა საბოლოოდ არც სომხობას შეუძლია. მგონია, რომ არც ოსმალეთი და არც გერმანია არ სცნობენ სომხეთის დამოუკიდებლობას... სომხებს ის-ღა დარჩენიათ, რომ უტერიტორიო ერის ბედს შეურიგდნენ და კულტურულ ავტონომიის დაკმაყოფილდნენ ოსმალეთისა თუ საქართველოს საზღვრებში. სულ სხვანაირია საქართველოს მდგომარეობა. ოსმალეთმა წარსულის გაკვეთილებიდან უნდა იცოდეს, რომ ადვილი არ არის ქრისტიანული ერის დაპყრობა და მონელება. მით უმეტეს, როცა ამ ერს თავისი საკუთარი ტერიტორიაც აქვს, სახელმწიფოებრივი ტრადიციაც და სულიერი კულტურაც. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ სტამბოლის მთავრობა ბევრს დაგვითმობს, თუ ქართველები ცალკე გამოვალთ და ოსმალეთსა და აღმოსავლეთ კავკასიას ხელს არ შევუშლით თავიანთ ურთიერთობის მოგვარებაში“.

შეიძლება დღეს ზემოთ მოყვანილმა სიტყვებმა გაცვეთილი ჭეშმარიტების შთაბეჭდილება მოახდინოს, ამ ნახევარი წლის წინად ეროვნულ საბჭოს უმრავლესობამ ყოველი დებულება ახირებულ პოლიტიკურ პარადოქსად მიიღო. ჯერ კიდევ გაზაფხული იდგა, ამ სიტყვის პირდაპირი და ნართაული მნიშვნელობით, და ქართველი სოციალისტური ინტელიგენცია ყვავილების მტვერით და ფერადი ილიუზიებით იკვებებოდა. სიტყვები მთლიანი დემოკრატიული ფრონტისა, რევოლუციურ მონაპოვართა შენარჩუნებისა და გაერთიანებული ამიერ-კავკასიის შესახებ უფრო დიდს შთამაგონებელ გავლენას ახდენდა, ვიდრე ცივი პოლიტიკური ანალიზი. შემდეგ ქართველმა ერმა საკუთარი სისხლით გამოისყიდა ეს ილიუზიები. ოსმალეთი იძულებული გახდა, ძალით დაეშალა ის მექანიკური კონგლომერატი, რომელსაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა ეწოდებოდა, რათა თავისი ეროვნული პრეტენზიები გაენაღდებინა. და რადგან ინტერნაციონალისტური საქართველო ყველაზე თავგამოდებით იცავდა „ერთობილი“ ამიერ-კავკასიის იდეას, ყველაზე ძლიერი მუჯლუგუნები სწორედ ჩვენს სამშობლოს მოხვდა. ჩვენ ჯერ ბათომი და არტაანი დავკარგეთ, შემდეგ ახალციხე და ახალქალაქი. და მხოლოდ ამის შემდეგ შევიგნეთ, რომ ყველაფერს დავკარგავდით, თუ დროზე არ გამოვეშვიდობებოდით ჩვენ ამიერ-კავკასიელ თანამგზავრებს.

ბაქოს აღება მხოლოდ პირველი საფეხურია იმ კიბისა, რომელსაც ოსმალეთი პანთურქული მიზნისკენ მიჰყავს. ჩვენის აზრით ბაქოს ოპერაციის დამთავრებას თავრიზის ოპერაციის გაცხოველება უნდა მოჰყვეს. კონსტანტინოპოლიდან ბაქომდე დიდი მანძილია და ოსმალეთს გაუჭირდება კავკასიის ადერბეიჯანის შენარჩუნება თუ სპარსეთის ადერბეიჯანი, გილანი და მაზანდარანი არ დაიჭირა. ორი გზა მიდის ბრწყინვალე პორტიდან ნავთის სამეფოში. ერთი სჭრის ფოთსა და თბილისს, მეორე თავრიზსა და ჯულფას. რადგან პირველი მიმართულება გადაჩიხულია, პანთურქულმა ტალღამ მეორე მიმართულება უნდა აირჩიოს. შეიძლება ამ ტალღამ საქართველოს სამხრეთი სანაპიროები ჩამორეცხოს, შეიძლება მან სომხეთის ზეგანი გადალეკოს, უეჭველია მხოლოდ, რომ ის ბოლოს კასპიის ზღვას მიეხეთქება და შემდეგ ალბად შუა აზიის უდაბნოებში განელდება.

მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს ბაქოს აღებას. თურქულმა რასამ, რომელიც საშუალო საუკუნეებიდან დაწყებული მეცხრამეტე საუკუნემდე დასავლეთისკენ მიისწრაფოდა, ხელახლა პირი იბრუნა ტურანისაკენ. ევროპიდან და აფრიკიდან ოსმალეთი თითქმის განდევნილია. შეიძლება ოსმალეთმა დაჰკარგოს ბაღდადი, მექა, ერუსალიმი, მაგრამ ძნელი საფიქრებელია, რომ მან ოდესმე განჯა და ბაქო დასთმოს. ნავთის წყაროები მას აუნაზღაურებს არა მარტო შუამდინარის ნაყოფიერ ველებს, არამედ თვით მარმარილოს ზღვას და ოქროს ყურეს.

შეიძლება მსოფლიო ომში ვერც ერთმა დიდმა სახელმწიფომ ვერ მოიგოს იმდენი, რამდენსაც დასუსტებული ოსმალეთი მოიგებს. „ბოსფორის ავადმყოფმა ადამიანმა“ შეისრუტა ახალი სისხლი და ახალი ენერგია. ხუთი მილიონი თურქი სცხოვრობს ორივე ადერბეიჯანში, ეს ხალხი გაუცვეთელია კულტურულად. ადერბეიჯანელის მაღალი კომერციული ნიჭი ბედნიერ დამატებას წარმოადგენს ოსმალურ სამხედრო ღირსებისას, როგორც ეს კიდეც აღნიშნა ერთმა თურქმა პუბლიცისტმა. მაგრამ კიდევ უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ ოსმალეთის სახელმწიფო შენობაში ეროვნული პრინციპი თანდათან იმარჯვებს რელიგიურ პრინციპზე.

ოსმალეთის დეკადანსის მთავარი მიზეზი სწორედ ის იყო, რომ ეს სახელმწიფო საშუალო საუკუნოებრივ საძირკველზე იყო აშენებული. ეროვნულ მოძრაობის გაძლიერებამ დაშალა მაჰმად მეორისა და სოლეიმან ბრწყინვალის იმპერია; არაბეთისა, შუამდინა-

რისა და სირიის გამოყოფა უკანასკნელი ფაზისი იქნებოდა ამ დაშლის პროცესში. ახალგაზრდა ოსმალოთა პოლიტიკამ ანგარიში უნდა გაუწიოს ამ ისტორიულ გაკვეთილებს. თანამედროვე ოსმალეთის სიძლიერის წყარო პანისლამისტურ მოძრაობაში კი არა, პანთურქულში მდგომარეობს. არც ბათომი, არც სოხუმი არ შეიძლება ოსმალეთის სახელმწიფოებრივი შენობის ქვაკუთხედათ გადაიქცეს: ახალი ძლიერი ოსმალეთი ბაქოსა, თავრიზსა და განჯას უნდა დაეყრდნოს.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს ის ბრძნული წინასწარმეტყველება, რომელიც ემილ დე ჟირარდენმა გამოსთქვა 1852 წელს. „თუ ოსმალეთს მხოლოდ დესპოტიზმისა და ფანატიზმის შემწეობით შეუძლია არსებობა, მე არასოდეს არ ვიქნები იმათ რიცხვში, ვინც მის მოსპობას ინანებს. მაგრამ მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ოსმალეთის არსებობა უზრუნველყოფილია, თუ პირველი დიპლომატები თავს დაანებებენ მის ქენჯნას, თუ ავსტრია, ინგლისი, რუსეთი და საფრანგეთი ხელს აიღებენ აბეზარ მზრუნველობაზე; მაშინ ოსმალეთი, რომელსაც ცხედრად სთვლიან, ჩქარი და მტკიცე ნაბიჯით პროგრესისაკენ წავა და გაკვირვებულ ევროპას ბრწყინვალე დემონსტრაციას უჩვენებს“.

გერონტი ქიქოძე.

ყუბანი

ახლოვდება ოქტომბერი. მალე შესრულდება წლის თავი ბოლშევიკების დიქტატურის, მაგრამ როგორც ეტყობა ამ წლის მობრუნება საბედისწერო იქნება ბოლშევიკებისთვის. სოვდეპიას რესპუბლიკა გარემოცულია ყოველ მხრივ. ურჩი და აჯანყებული ახალი რესპუბლიკები, თავისუფალი ქალაქები, ჩეხო-სლოვაკები და შეთანხმების სახელმწიფოთა ექსპედიციები დაუნდობლათ ებრძვიან სახალხო კომისრების საბჭოს და ერთად ერთმა ნამდვილმა რუსულმა პარტიამ ს.-რევოლუციონერებმაც დაიწყეს ნაცადი გზა ტერორის. ტერორი კი რუსეთში ყოველთვის ითვლებოდა სიგნალად პოლიტიკის გადატეხისა, სოვდეპიის დროსაც არ დაუკარგავს რუსეთს ყოველ შესაძლებლობის თვისება.

რევოლუციის პირველ დღიდანვე ზედმეტ ყურადღებას იპყრობდენ დონი და ყუბანი. მართალია საერთო ტალღა სეპარატიზმისა მათაც გადაედოთ, დონმა და ყუბანმაც მოინდომა გაკერძოება, რომ ანარქიისაგან დაეცვათ თავიანთი თავი, მაგრამ პირველად ეს ვერ მოახერხეს. ბოლშევიკებმა, რომელთა დიდი ნაწილი მოსული იყო, დაიპყრეს ეს ქვეყნები და ამტკიცებდენ თავიანთ უფლებას... მაგრამ დღეს სასტიკად დამარცხდნენ და დონი და ყუბანი, ისევ უბრუნდება ძველ მდგომარეობას. ხალხი თანდათან ერკვევა რევოლუციის ცხელებასა და მასში სახელმწიფოებრივი ინსტინქტი იღვიძებს. მოხალისეთა არმიამ, რომელსაც მეთაურობს გენერალი ალექსეევი დაიპყრო ეკატერინოდარი და ყოველ დღე ამარცხებს წითელ არმიელთა ჯარებს, ყუბანის ოლქი სრულიად გაწმენდილია ბოლშევიკებისგან. ყოველი ახალი გამარჯვება გენერალი ალექსეევისა იზიდავს რუსის ნაციონალისტებს ყუბანისკენ და უმატებს ახალ იმედებს სამოქმედოთ. თუ როგორია ყუბანის ახალი პოლიტიკა და რაზე ოცნებობენ რუსი ნაციონალისტები ამის გაგება შეიძლება იმ წერილებიდან, რომელთაც ბეჭდავს ქ. ეკატერინოდარში გაზეთი „როსია“, რომლის მთავარი რედაქტორია ვ. შულგინი და რომელიც ითვლება მოხალისეთა არმიის და ყუბანის მთავრობის ოფიციოზად. ყუბანი და დონი უნდა იქცეს პიემონტათ, აქედან უნდა დაიწყოს რუსეთის გამრთელება, რაც შეეხება ეფემერულ რესპუბლიკებს მათი დღეები შულგინის აზრით დათვლილია.

ამ ეფემერულ რესპუბლიკებში ყველაზე უფრო მეტი ხვდება უკრაინას და საქართველოს, პირველად იმიტომ რომ საკმაოდ გამოერკვენ სახელმწიფოებრივად და შემდეგ კიდევ უფრო იმიტომ რომ იგინი იზიარებენ გერმანულ ორიენტაციას. გაზეთში უკრაინიდან მოწერილ წერილებს არქმევენ „სკოროპადიას“, საქართველოზედაც თითქმის ყოველდღე იბეჭდება ცილისწამებელი წერილები, უმთავრესად საქართველოდან გადახვეწილ რუსების ინფორმაციით: მაგალითად, რუსის აფიცრების გაუსამართლებლათ დახვრეტა და სამას-ათას სომეხ ლტოლვილის ჟლეტა, გერმანელებზე საქართველოს გაყიდვა, ჩხეიძის შოვინიზმი და ასე,

უეჭველია ყუბანში თავს იყრიან რუსის შოვინისტები, სხვა და სხვა ქვეყნებიდან გამოდევნილი, უმთავრესად საქართველოდან წასული და ამზადებენ შურისძიებას. რუსეთის იმპერიალისტებს თავიდანვე ჰქონდათ ნაანგარიშევი ყუბანის ყაზახების მნიშვნელობა წინა აზიაში, ამიტომაც ასე გულმოდგინეთ ეწეოდენ კოლონიზაციას.

როგორც კი დაიბადება დიდი რუსეთის იდეა და ეს იდეა კი უკვე იბადება ტანჯვაში, ყუბანიდან აფეთქდებიან პირველი ყუმბარები და ეს პირველი ყუმბარები საქართველოს წინააღმდეგ იქნება; არ უნდა წინასწარ თქმა, რომ ბოლშევიკების მაგიერ სოხუმის სანაპიროებს შეიძლება მალე უფრო ძლიერი ლაშქარი მოადგეს და აწინდელი ამბები სოხუმის თავდაცვის, დაიჩრდილოს ახალ სისასტიკეში.

გენერალი ალექსეევი აცხადებს, რომ მის დანიშნულებას შეადგენს რუსეთის გამრთელება, ზოგ დამოუკიდებელ რესპუბლიკის უფლებას თითქო სცნობს, მაგრამ დასძენს რომ ისინი მალე ამოწურავენ თავის არსებობის ენერგიას და ბრძოლაში დაიშრიტებიან და ამ განცხადების შემდეგ განა არის ეჭვი, რომ საქართველოს ნაკლები იმედი უნდა ჰქონდეს დამშვიდებისა? რასაკვირველია ჟორდანია და ბიჩო მიულოცავენ ერთმანეთს, ჩვენი დელეგაციაც დარწმუნდება ყუბანის კეთილმეზობლურ განწყობილებაში, მაგრამ ეს ამბები ერთი დღის ამბებია.

მომავალი კი დამძიმებულია მძიმე ჰაერით, დიდი რუსეთი თუ ვერ აღსდგება, მის აღდგენას მაინც შეეცდებიან და ამ ცდის სიმძიმე შეიძლება პირველად საქართველოს ხერხემალმა იგრძნოს... და რა მოყვება ამას, ამაზე შემდეგ.

ტ. ტაბიძე.

რკინის გზის ყრილობის რეზოლუცია

რამდენადაც დიდს ყურადღებას იპყრობდა საზოგადოთ ჩვენი რკინის გზის ეგრედ წოდებული რევოლუციური ცენტრალური მმართველობა, იმდენად შეუმჩნევლად და საზოგადოების მიერ, ასე ვთქვათ, დაუფასებლად დამთავრდა საქართველოს ყველა რკინის გზების დელეგატთა ყრილობა, რომლის დადგენილებებით რადიკალურად იცვლება რკინის გზათა სამმართველოს მდგომარეობა და მნიშვნელობა რესპუბლიკაში მომქმედ დაწესებულებათა შორის.

საქართველოს სახელმწიფო რკინის გზების ცენტრალურ კომიტეტის პოლიტიკური გამოსვლანი სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ყოვლად შეუწყნარებელ მიმართულებას იღებდა. დამოუკიდებლობის აღიარების შემდგომ რკინის გზაზე პარალელურად მოქმედებდა ორი დაწესებულება: კანონიერი სამინისტრო—საქართველოს პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი და რკინის გზის ცენტრალური კომიტეტი—რევოლუციის პროცესში აღმოცენებული და უპასუხისმგებლო თავის მოქმედებაში. მაგრამ ამ ორ სამმართველოთა შორის არსებობდა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი განსხვავება: რკინის გზა ხელმძღვანელობდა ცენტრალური კომიტეტის განკარგულებებს, ხოლო უყურადღებოდ სტოვებდა და ხშირად აშკარად ეწინააღმდეგებოდა გზათა სამინისტროს ბრძანებასა და ინსტრუქციებს.

უკანასკნელ დროს მდგომარეობა მეტის-მეტად გამწვავდა და რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა სახელმწიფოში მყუდროების დასაცავად და წესიერი მიმოსვლის აღსადგენად მიემართა გადაჭრილ ზომებისათვის. პირველი ასეთი აქტი იყო ბ-ნ ფიცხელაურის დანიშვნა რკინის გზების მთავარ გამგედ. მისი აღჭურვა განსაკუთრებული უფლებით ცენტრალურმა კომიტეტმა სრულიად სამართლიანად გაიგო, როგორც პირველი გამაფრთხილებელი memento mori და მძლავრად გამოილაშქრა მთავრობის გარდაწყვეტილების წინააღმდეგ. კოლლიზია აუცილებელი გახდა და მოსალოდნელი შეჩერება საქართველოს რკინის გზებისა მთელი მისი შედეგებით თავიდან აგვცდა მხოლოდ მთავრობის მტკიცე და შეურყეველი პოლიტიკის წყალობით. რკინის გზის ცენტრალურ კომიტეტს ლაკონიურად გამოეცხადა, რომ მთავრობა სასტიკ ზომებს მიიღებს კანონიერი განკარგულების მოწინააღმდეგეთა მიმართ და ამ კათეგორიულმა აზრმა ძალა-უფლებას შეყვარებული და შეჩვეული ცენტრალური კომიტეტის აქტიური წევრები გამოაფხიზლა.

ამის შემდგომ უნდა გადადგმულიყო კიდევ ერთი ნაბიჯი შეუფერებელ დუალიზმის მოსასპობად. ცენტრალურ კომიტეტს აუცილებლად საჭირო იყო ჩამოჰრთმეოდა მის მიერ მითვისებული საპოლიტიკო და საადმინისტრაციო ფუნქციები და ერთად-ერთ სრულუფლებიან და მბრძანებელ ორგანოდ გამოცხადებულიყო კანონიერი მთავრობა გზათა სამინისტროს სახით.

ამ მიზნის უმტკივნეულად მიღწევისათვის მოწვეულ იქნა საქართველოს რკინის გზის დელეგატთა ყრილობა, რომელზედაც გამოიტანეს მთავრობისათვის შესაწყნარებელი რეზოლუცია. ცენტრალური კომიტეტი უარს აცხადებს პოლიტიკურ მოღვაწეობაზე და კისრულობს პროფესსიულ ინტერესების დაცვის მოვალეობას. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობისა და კულტურის ერთს უმთავრეს დარგს დაუბრუნდა განშორებული კანონიერი პატრონი. სახელმწიფოს სასიცოცხლო ნერვის მოქმედება შეუძლებელია რომ დამოკიდებული იყოს ვისიმე „კაპრიზებზე“, თუნდაც ეს „ვინმე“ რევოლუციის პირმშო შვილის—ცენტრალურ კომიტეტის—მყვირალა სახელს ატარებდეს.

კიდევ გამოვსთქვამთ ერთ სურვილს, რომ დადგენილება ზემოაღნიშნულ ყრილობისა ცხოვრებაში დაუბრკოლებლივ და მასთან დაუყოვნებლივ გატარებულიყოს. ამას მოითხოვს ჭეშმარიტად და მტკიცედ შეგნებული სახელმწიფოებრივი საჭიროება და ქართველი ერის ინტერესები.

რ. ინგილო.

ეროვნული საბჭო

ალ. ახმეტელის სიტყვა

უხერხული მდგომარეობა.

მოქალაქენო! არასოდეს მე ისე ნათლად არ განმიცდია ჩემი საკუთარი გულუბრყვილობა, როგორც ბ. მინისტრის პასუხის შემდეგ. არავის არასოდეს არ ჩაუყენებივარ ისეთ უხერხულ მდგომარეობაში, როგორც მინისტრ ლორთქიფანიძეს. და მან ეს მოახერხა მხოლოდ და მხოლოდ თავის წარმოუდგენელ გაბედულობით. გაბედული იყო მინისტრი მაშინ, როდესაც წინასწარ იცოდა, რომ მე სასურსათო სამინისტროზე განზრახ არაფერს ვიტყოდი. იერიში მოიტანა ჩემზე და ბრალს მდებდა, ვითომ მე საბუთები ვერ მოვიყვანე, თუმცა წინასწარ მან იცოდა, რომ მე ასე მოვიქცეოდი. შეკითხვის ავტორს თანაც მიკიჟინებდა, საკუთარი გეგმა არ გადაგვიმალეო. და თუ ითხოვთ ჩემგან საბუთებს და გეგმასაც, კეთილი და პატიოსანი. მე მზათ ვარ ავასრულო თქვენი მოთხოვნილებანი.

სასურსათო სამინისტრო.

სასურსათო სამინისტროს მოქმედება დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ჩემის აზრით, წმინდა პანამაა. არც ერთი ნაბიჯი არა აქვს გადადგმული სამინისტროს, რომ რესპუბლიკის ინტერესები შებღალული არ ყოფილიყოს. და რომ ეს უბრალო სიტყვები არ არის, ამის დამამტკიცებელია შემდეგი ფაქტები:

ხელშეკრულობა ტაგიევთან

ამ ხელშეკრულობის ძალით ტაგიევმა მიიღო სამინისტროსაგან 2000 ფუთი შაქარი, ერთ (თუ ორ ვაგონში, კარგად აღარ მახსოვს) ხორბალში, რომელიც მან ადერბეიჯანიდან შემოიტანა 120000 მანეთად. სწორედ ამ დროს თვით ადერბეიჯანში შაქარი ღირდა ფუთი 800—900 მანეთამდე, ხორბალი კი 50—60 მანეთამდე. მაშასადამე ტაგიევმა 1,800,000 მანეთში მთავრობას მისცა 180,000 მანეთად ღირებული საქონელი. სამინისტროში ტაგიევთან თითქმის ერთად იწერება ხელშეკრულობა ვინმე კიკილაშვილთან (შეიძლება გვარი სწორი არ იყო) კონტრაგენტს უფლება ეძლევა გაიტანოს ადერბეიჯანში შაქარი 320 მან. ფუთი.

თქვენ ნათლად ხედავთ, ბატონებო, თუ რას ნიშნავს ასეთი ხელშეკრულებები. ვერ გამიგია, რატომ მისცეს ფუთი ასე ძვირად ერთს და ასე იაფად მეორეს.

ხელშეკრულობა მამულაიშვილთან.

მამულაიშვილს უნდა ჩაებარებინა სამინისტროსთვის 1000 სული საქონელი ფუთი 38 მან. და 50 კ. სამაგიეროდ სამინისტრო აძლევდა 2000 ფ. შაქარს და 200 ფ. ჩაის ადერბეიჯანში გასატანად. თუ რამდენი მოგება დარჩებოდა კონტრაგენტს მე ახლავე გიანგარიშებთ. წარმოიდგინეთ, რომ თითო სული საქონელი, ცოცხალი რასაკვირველია, 20 ფუთს იწონიდა.

ადგილიდან: შეუძლებელია.

ახმეტელი: ვიცი, ბატონებო, მაგრამ მე მინდა დავექომაგო სამინისტროს და ამიტომ გაცილებით მეტს ვიღებ, წარმოიდგინეთ, რომ მამულაიშვილის საქონელი არა-ჩვეულებრივი აღმოჩნდა. 1000 სული გამოვიდა—20,000 ფუთი. 38 მან. 50 კ. ფუთი დაიჯერს სულ 770,000 მ., სამაგიეროდ კი კონტრაგენტმა სამინისტროსაგან მიიღო 2000 ფუთი შაქარი. მაშინ ადერბეიჯანში თითქმის ას თუმანს აღწევდა ფასები. მაშასადამე, 2,000,000 მანეთის და ჩაიც 200 ფუთი ანუ ფულად 400,000 მანეთისა, სულ 2400,000 მანეთის საქონელი მიიღო 770,000 მანეთში. როგორც ატყობთ, ესეც დიდი მოგებაა სამინისტროსთვის.

ხელშეკრულება უკრაინის გრომადასთან.

ყველაზე სამასხარო ეს ხელშეკრულობაა, სულ 4 მუხლისაგან შესდგება. მე იურისტი გახლავართ და არსად არასდროს არ შემხვედრია ასეთი ხელშეკრულობა. აქ არ არის ნაჩვენები არც ვადა, არც რაოდენობა, რამდენს შემოიტანს გრომადის წარმომადგენელი ფიქენკო და არც რა ფასებში. თვით ალახიც ვერ გაიგებს, რაშია საქმე.

ბექ შამხორსკი.

ვისთვის და რისთვის მიიღო, ერთი თუ ორი ვაგონი ამ კონტრაგენტმა, არ ვიცი. ბექ შამხორსკი სადგურზე განსაკუთრებულ რაზმის მეთაურს დარახველიძეს შეეპყრა კიდეც როდესაც ვაგონები უნდა გაეგზავნა ადერბეიჯანში. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ თვით დარახველიძის ბრძანებით წავიდა ადერბეიჯანში. რაში იყო საქმე, ჯერ-ჯერობით მე ვერ გავიგე.

ხელშეკრულება კობახიძესთან.

ეს ხელშეკრულება საინტერესოა იმით, რომ აშკარად ამტკიცებს შაქრით ფარულად ვაჭრობას სამინისტროში. კონტრაგენტს უფლება აქვს წაიღოს ადერბეიჯანში რამდენი ფუთიც უნდა, მხოლოდ მან უნდა დასტოვოს ფუთზე 400 მ. ბე შაქარზედ და 20 მანეთი მარილზე. რა ენაღვლება კობახიძეს, შაქარი ადერბეიჯანში 1000 მანეთია, მარილი 120 მანეთი. რამდენსაც უნდა გაიტანს. რაიმე გარანტია იმის, რომ იგი ხორბალს შემოიტანს, რასაკვირველია, ხელშეკრულობაში არ არის.

ავალიშვილს მიაქვს შაქარი და ფუთზე უნდა გადაიხადოს ორ ფუთ-ნახევარი ხორბალი.

ხელშეკრულობა „კომერსანტ“-თან.

კატეგორიულად ვაცხადებ. რომ ის რაც ბ. მინისტრმა სთქვა აქ ხოშტარიას შესახებ, სიმართლეს მოკლებულია. თუ ხოშტარიამ პურის შემოტანის საქმე არ აიღო, ამაში უმთავრესად თვით სამინისტროა დამნაშავე.

ბატონებო! საქმე იმაშია, რომ ხოშტარია არ დასთანხმდა სწორედ იმ მუხლს, რომელიც თვითონ ბ-ნ მინისტრმა ხოშტარიას შესთავაზა. მართალია ხოშტარიამ მოსთხოვა ან რუსული ფული მთავრობას ან და ლაჟა, ე. ი. განსხვავება, იგი ეუბნება სამინისტროს, როგორც იქ უკრაინაში მიიღებენ ჩვენ ბონებს მეც ისე გამისწორდითო. არა თუ მარტო ხოშტარიასაგან, ყველა კონტრაგენტისაგან ეს უკვე სამართლიან მოთხოვნილებათ არის აღიარებული. სამინისტროც დასთანხმდა ამაზე, მხოლოდ ლაპარაკი გამოიწვია იმან თუ როგორ შეეტანათ ეს მუხლი ხელშეკრულობაში. ხოშტარია ითხოვდა პირდაპირ აღენიშნათ. სამინისტრომ ეს მე-7 მუხლის სახით შესთავაზა. ეს ის მუხლია სადაც კონტრაგენტმა უნდა წარუდგინოს ანგარიშები ჩვენს მთავრობას ყველა იმ ხარჯებისა, რომელიც კონტრაგენტს მოუვა პურის გადმოტანის დროს თბილისამდე. ამ ხარჯებში რასაკვირველია კონტრაგენტიც ეცდება ამ ლაჟის ანაზღაურებას. ეს რასაკვირველია ცხადზე უცხადესია.

მეორეც საინტერესოა შევადაროთ ორივე მეტოქე კონტრაგენტები. ერთი მხრივ კომერსანტი, მეორე მხრივ ხოშტარია. კომერსანტში შედიან ისეთი პირები...

ადგილიდან: ვინ არიან?

ახმეტელი: ირეთელი, ყანჩელი, მალალაშვილი, პაპავა, ეს მართლაც კომერსანტია, ჩიქოვანი და მაზმანოვი, ყველა ესენი ძალიან პატიოსანი და სანდო ყმაწვილებიც არიან, მაგრამ კომერციის მხრივ ძალიან სუსტნი. მაგალითად საწინდარი 250,000 მანეთი მათ ფულათ არა ჰქონდათ და სახლი დაუგირავებიათ ქუთაისში, მეორე კონტრაგენტია ხოშტარია, მასთან ცნობილი შტარკი წარმომადგენელი დრეიფუსისა, პურით მოვაჭრე ქავთარაძე შედარებით კომერსანტთან რასაკვირველია კომერციულათ უფრო ძლიერია.

საინტერესო უფრო ის არის, რომ 6 მილიონ ფუთის შემოტანა ევალებათ კონტრაგენტებს ფულად თითქოს 240 მილ. მანეთისა და მთავრობა მხოლოდ 250,000 მან. საწინდრით კმაყოფილდება.

გარდა ამისა „კომერსანტს“ წინდაწინვე ეძლევა საქონელი უკრაინაში წასაღებათ და იქ გასაცვლელად; რამდენი მილიონისა ეს ნაჩვენები არ არის. შეუძლიან მხოლოდ იქ წაიღონ, გაცვალონ, ან გაყიდონ და შემდეგ, რასაკვირველია, უარი სთქვან ხელშეკრულობის ასრულებაზე. იგი მხოლოთ 250.000 მანეთს ჰკარგავს. ამგვარათ ზრუნავს სამინისტრო რესპუბლიკისათვის.

ეს ხელშეკრულობა ყოველ მხრივ ღირსშესანიშნავია. ამითვე მტკიცდება თუ რა საშინელ ბოროტმოქმედებას ჰქონია ადგილი სამინისტროში.

რუსული „ასიგნოვკები“.

ბ-ებო! რუსეთის მთავრობას საქართველოში და ამიერ-კავკასიაში დარჩა მრავალი მოვალენი. ესენი არიან ყოფილი პოდრიაჩიკები. მათ ხელში აქვთ დღეს, „ასიგნოვკები“, სადაც სწერია, რომ ხსენებულ პირს რუსეთის სახელმწიფო ხაზინამ უნდა მისცეს ამდენი და ამდენი ფული. ამგვარ ასიგნოვკებით ხელში დღეს ბევრს ნახავთ ჩვენში. ისინი დადიან და არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რომ როგორმე ეს ქაღალდები ჩვენი ხაზინის საშუალებით გაანაღდონ; ქრთამებით თუ „პოდლოგებით“ ეს ხალხი ცდილობს ფულათ აქციონ ასიგნოვკები. ხშირად 50%, 100% იხდიან იმათ სასარგებლოთ ვინც მათ საქმეს მოუხერხებენ. ამგვარ ოპერაციებისათვის მიუმართავს სასურსათო სამინისტროსაც.

ხელშეკრულება ლავასოვთან.

ვინმე ლავასოვი ვალდებულობას იღებს, რომ ჩააბარებს სამინისტროს 80 ვაგონ ხორბალს 80 მანეთობაზე ორი თვის განმავლობაში. აქედან 20 ვაგონს ორი კვირის განმავლობაში. საიდან და ან როგორ მოახერხებდა ასე უცბათ 80 ვაგონის მოტანას თბილისში ისიც ორ თვეში, ბ-ნი ლავასოვი არავინ იცის. ისიც იმ დროს, როდესაც ერთი ვაგონის შეკრებას რამდენიმე კვირა უნდა. ადერბეიჯანი მას არ მისცემდა ფულში. უკრაინიდან, ჩრდილო-კავკასიიდან ვერ მოიტანდა, რადგან გზები არ არის. ბორჩალოდან არ გამოატანდნენ. საქართველოში ჯერ ერთი 80 მან. ფუთს პურს ვერ იშოვნიდა, 80 ვაგ. ვერ მოაგროვებდა. სჩანს რაღაცა ამბავი უნდა იყოს აქ. საქმე კი სულ ადვილათ აიხსნება. სამინისტრომ უნდა ის ასიგნოვკა, რომელიც მის ხელშია (ხელშეკრულობაში სიტყვაც კი არ არის, თუ რამდენისაა ეს ასიგნოვკა) უნდა დაუხურდავოს და ფული თავის სახელზე გადმოიტანოს. შემდეგ ეს ფული სულ უნდა მისცეს ლავასოვს და საწინდრათ, ხელშეკრულების ასასრულებლათ უნდა დასტოვოს ხუთიათასი მანეთი.

ლავასოვი თავის ასიგნოვკას ანაღდებს. რადგან ხელშეკრულობაში ჯამი არ არის ნაჩვენები უნდა ვიანგარიშოთ ასე. თუ იგი სამინისტროს 80 ვაგ. 80 მანეთობაზე ჰპირდება ჩაბარებას. სჩანს თანხა დიდი დასჭირდება. 80 რომ გავამრავლოთ 80-ზე გამოდის, რომ თანხა სჭირია 6.400,000 მანეთი.

ასეთი ასიგნოვკის გადახურდავებაში კერძოთ ლავასოვი დაჰხარჯავდა არა ნაკლებ ერთს მილიონს მაინც.

სამინისტრო მას უხურდავებს, ფულს ხელში აძლევს, თვითონ ამ ფულიდან (მე 7 მუხლი) იტოვებს ხუთი ათას მანეთს. და თუ ხელშეკრულობა დაარღვია ლავასოვმა ესე იგი, თუ მან ხორბალი არ მოიტანა ჰკარგავს მხოლოთ ხუთი ათას მანეთს. ეს ხელშეკრულობა ისეთი სამარცხვინო და მასთან საშინელებაა, რომ მეტი აღარ მინდა ამაზე შევჩერდე.

აი ბატონებო ფაქტები, მე მგონი მინისტრი აღარ დამემდურება. თქვენ თვითონ გასინჯეთ ახლა რა ყოფილა ეს სამინისტრო.

სასურსათო საქმის ახალი ორგანიზაცია.

მე გადავალ გეგმაზე. თქვენ მინისტრმა მთავრობის მიერ შემუშავებული გეგმა მოგახსენათ. ახალი არაფერი უთქვამს. ასევეა ის ცნობილი საბჭოები, რომელნიც ყოველთვის უფრო საქმეს აფუჭებენ ვიდრე აკეთებენ.

ბატონებო, მე ავასრულე ბ-ნ ლორთქიფანიძეს თხოვნა, მოუყვანე ფაქტები და გავაცანი ჩემი გეგმაც.

მინისტრ. ლორთქიფანიძის პასუხი

საყვედურები სრულიად უსაფუძვლოა

მე შემიძლია თამამად გამოვიდე ამ ტრიბუნაზედ, რადგან არც წარსულში და არც სამინისტროს [illegible] დროს არაფერი არ ჩამიდენია ისეთი, რასაც ჩირქის მოცხება შეეძლოს.

ბ-ნმა ახმეტელმა ბრძანა, რომ ჟორდანიას მთავრობამ ვერაფერი ვერ გააკეთა, თუ ეს ასე გგონიათ, მაშინ თქვენი პროექტი უნდა წარმოადგინოთ, მაგრამ თქვენ ეს ვერ შესძელით და თქვენი საყვედურები სრულიათ უსაფუძვლოა. რომ დამნაშავეთ ჩვენ სამართალში არ ვაძლევდეთ, მაშინ შეგეძლოთ ლაპარაკი, მაგრამ თქვენი დასკვნა ხომ რევიზიის შედეგია. განა იმ „ჩეკების“ შესახებ, რომელზედაც ახმეტელი ბრძანებდა რევიზია არ არის დანიშნული და განა მინისტრის ამხანაგი საბაშვილი სწორეთ ამ ჩეკების გამო არ იქმნა სამსახურიდან გადაყენებული?

შემკითხველი ამბობდა, თუ რამდენს ფასობს ბაზარზედ ეს ჩეკები, მე ეს არ ვიცი.

ახმეტელი: (ადგილიდან) უნდა იცოდეთ.

ლორთქიფანიძე: თქვენ უთუოთ ჩვენზედ უკეთ იცით საქმე. აქ ლაპარაკობდენ ქუთაისის უკრაინის გრომადის შესახებ. ბატონებო! ისეთი დრო იყო, რომ ვინც არ უნდა მოსულიყო, ნებართვა უსათუოთ უნდა მიგვეცა.

ტაგიევის ისტორია.

ახმეტელმა აქ განაცხადა, რომ საქართველოდან გატანილია 30 ვაგონი შაქარი. მე ამის შესახებ არაფერი ვიცი.

ხმები ადგილიდან: როდის გაიგებთ?

ლორთქიფანიძე: რაც შეეხება მაშადი ტაგიევის ისტორიას, ახმეტელმა სწორი ცნობები არ მოიყვანა. მან სთქვა, რომ 1 ვაგონის ხორბალის შემოტანაში 2 ვაგონი შაქარის გატანის ნება დავრთეთო. ნამდვილათ კი 2 ვაგონის შაქრის ნაცვლათ მას უნდა წარმოედგინა 2 ვაგონი ხორბალი და 100 ათასი მ. გირაო და შემდეგ დამატებით კიდევ 30 ათასი მანეთი კიდევ წარმოედგინა

ახმეტელმა ამ შემთხვევაში გაიმეორა გაზეთ „სოც.-დემოკრატის“ ბრალდება, თითქოს ჩვენ საზარალო ხელშეკრულება დავსდეთ. მან განაცხადა, რომ ფუთი შაქარი აზერბეიჯანში 1000 მანეთი ფასობს. მე ეს არ ვიცი.

ახმეტელი. (ადგილიდან): უნდა იცოდეთ!

ლორთქიფანიძე: თქვენ უფრო გეცოდინებათ ეს საქმეები.

ვაჭარი ნარსია.

ქუთაისის კომიტეტს დაუდვია ხელშეკრულება შაქრის გატანისა და ხორბლის შემოტანის შესახებ ცნობილ ნარსიასთან.

პეტრე ქავთარაძე (ალიონელი. ადგილიდან): მამასთან თუ შვილთან?

ლორთქიფანიძე: არ ვიცი.

პეტრე ქავთარაძე: უნდა იცოდეთ!

ნარსიამ შაქარი გაიტანა, მაგრამ სამაგიეროთ პური არ შემოიტანა და განაცხადა რომ აზერბეიჯანში მას შაქარი წაართვეს და ითხოვდა ხელახალს ნებართვას. ჩვენ მოვსთხოვეთ 100 ათასი მანეთის შემოტანა, მან ეს არ ქნა, მაგრამ გავიგეთ, რომ ფინანსთა მინისტრის სახელზედ შეეტანა ეს ფული და თანაც გავიგეთ, რომ აზერბეიჯანში შაქარი მისთვის კი არ წაურთმევიათ, ძალიან ძვირათაც გაუყიდია. ნარსია ამ ჟამათ დატუსაღებულია.

ჩვენ მიერ დადებულ ხელშეკრულებით, არავის, გარდა ტაგიევისა და მამულაიშვილისა, რომელმაც საქონელი მოიტანა სამაგიეროთ, ჩვენი ტერიტორიიდან არავის შაქარი არ გაუტანია.

ახმეტელი (ადგილიდან): ბეგ შამხორსკის?

ლორთქიფანიძე: (მცირე დუმილის შემდეგ განაგრძობს).

ხელშეკრულება „კომერსანტ“-თან

ბატონი ახმეტელი შეეხო ჩვენს ხელშეკრულებას „კომერსანტის“ ფირმასთან, მოიყვანა ყველა კონტრაგენტების გვარები და გვისაყვედურა, რატომ ხოშტარიასთან არ დადევით პირობაო.

ახმეტელი. მე ეგ არ მითქვამს.

ლორთქიფანიძე. თქვენ სთქვით, რომ ხოშტარიას მეტი გავლენა და კაპიტალი აქვს, ვიდრე ამ ფირმასო.

ახმეტელი. ჯერ გაიგეთ და შემდეგ ილაპარაკეთ!

ლორთქიფანიძე. მაშ რისთვის დაასახელეთ კომერსანტის პირები? ალბათ მისთვის რომ განსაზღვრული შთაბეჭდილება შეგექმნათ. თქვენ ბრძანებდით, რომ ხოშტარიასთან კავშირში იმყოფებოდა შტრანკი; მე მოგახსენეთ რომ შტრანკის მიერ წინადადება ცალკე იყო შემოტანილი.

„კომერსანტში“ არც ისე უცნობი პირებია. მაზმანოვი ბანკის დირექტორია და ამ ბანკის განყოფილებანი აწარმოებენ ამ ფულის ოპერაციებს.

გ. ვეშაპელი. რა გაიტანა ამ ფირმამ საქართველოდან?

ლორთქიფანიძე: საქონლის გაცვლის კომიტეტმა მისცა მათ ნება რამოდენიმე ათასი ბოთლი ღვინო გაეტანათ და 2 ათასი ფუთი თამბაქო.

ვეშაპელი: რა მოიტანეს?

ლორთქიფანიძე: ჯერჯერობით არაფერი არ შემოუტანიათ.

მესამე კლასი

ახმეტელი გვისაყვედურებს, რომ ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ მესამე კლასს, რომელიც უნდა ჩაუდგეს სათავეში ამ საქმეთა მოგვარებას, მაგრამ ბ-ნო ახმეტელო, ჯერ დაგვარწმუნეთ, რომ ამ კლასს, მართლა თავდადებულად უყვარს თავისი სამშობლო.

ნოე ჟორდანიას სიტყვა

რაც ახმეტელმა სთქვა მართალი არ არის, რაც მართალია ის ჩვენ ვიცით.

როცა ახმეტელმა შეკითხვა შემოიტანა, გამეხარდა, რადგან მეგონა ისეთ რამეს გავიგებდით, რაც არ ვიცოდით.

მინისტრმა თავის პასუხში დაამტკიცა, რომ რაც ახმეტელმა სთქვა ის მართალი არ არის, რაც მართალია ის ჩვენ ვიცით. მიღებულია, რომ თვითეული სამინისტრო, როცა მას სჭირდება ყიდვა-გაყიდვა, ჰკრავს პირობას. ამ სამინისტროთა შორის პირველი ადგილი სასურსათო სამინისტროს უკავია.

12 ხელშეკრულებაში 11 საზარალოა სახელმწიფოსთვის.

სასურსათო სამინისტროს გარშემო დიდი განგაში შეიქმნა და მე იძულებული ვიყავი მომეთხოვა პირები ყველა ხელშეკრულებისა და განსახილველათ იურისკონსულტის სერგო ჯაფარიძისათვის გადამეცა. მართალი რომ ვსთქვათ, აღმოჩნდა, რომ 12 ხელშეკრულებაში მხოლოდ 1 აღმოჩნდა მოსაწონი. ხოლო დანარჩენი სახელმწიფოსთვის საზარალო. ამავე საგანზედ თურმე მუშაობდა სახელმწიფო კონტროლიორი და, შემთხვევით, ჩემი და მისი გამოძიება ერთად წარმოსდგენ მთავრობის სხდომაზედ და ერთის და იმავე დასკვნით.

ვინაიდან ყველა ხელშეკრულებაზე ხელი ეწერა საბაშვილს, ჩვენ საჭიროთ ვცანით, დაუყოვნებლივ გადაგვეყენებინა იგი სამსახურიდან და მთელი სამინისტროსთვის რევიზია დაგვენიშნა. ის ერთი ხელშეკრულება, რომელიც მე მოგახსენეთ, გახლავთ ხელშეკრულება „კომერსანტთან“. ამ ფირმაში, მართალია, არიან პირნი, რომელნიც ვერაფრით პასუხს ვერ აგებენ, მაგრამ არიან პასუხისმგებელნიც და ჩვენც მოვითხოვეთ, რომ ეს პასუხისგება სოლიდარული ყოფილიყო. ერთი ხელშეკრულება უაღრესად საზარალოა, შეკრული ადერბეიჯანთან, სადაც ფუთ შაქარში მხოლოდ $4^1/_2$ ფუთ ხორბალს გვაძლევენ, მაგრამ ეს ხელშეკრულება დიპლომატიური გზით დაიდო და ვერაფერს ვერ ვიქმნით.

ამ ჟამად მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ყუბანის მთავრობასთან და ჩვენი სასურსათო საქმე უთუოდ მალე გამოსწორდება.

უკვე ნაშუადღევის 4-ნახევარი საათია და გვიანი დროის გამო კამათი პარასკევის სხდომისათვის გადაიდო.

ქრონიკა

(თბილისი)

ბოროტ-მოქმედება ხაზინაში. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმმა დააპატიმრა ხაზინის მოხელე ევსტაფი ანდრიას-ძე გიუნაშვილი. მას ბრალდება მონაწილეობა ხაზინაში ამას წინად აღმოჩენილ ბოროტ-მოქმედება ჩეკების დახურდავების საქმეში.

ქართული ლატარია. ლატარიის საქმე არაჩვეულებრივის სისწრაფით წინ მიდის. ბილეთები საღდება. ჩვენმა ცნობილმა ქველმოქმედმა აკაკი ხოშტარიამ ლატარიას შემოსწირა 50,000 მან. ნაღდ ფულად და დაიკვეთა ასი ათასი მანეთის ბილეთები.

კულტურისა და შრომის კავშირის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ტეხნიკურ დაბრკოლებისა გამო ქართულ საკანცელარიო ტერმინოლოგიის და ცოდნის პრაქტიკული სასწავლებელი განზრახულ ვადაზე ვერ გაიხსნა. სასწავლებელში სწავლა დაიწყობა უსათუოდ 1-ლს ოქტომბერს, ახალი სტილით, საღამოს 6 საათზე, ვერის პირველდაწყებით სასწავლებლის შენობაში (ოლღას ქ. სახლი მაჩაბლისა). დაწვრილებითი ცნობების მიღება და სასწავლებელში ჩაწერა შეიძლება შემდეგი მისამართით: წყნეთის ქ. სახლი № 30 ბინა ნაფ. ვექილის თანაშემწის შალვა ტატიშვილისა, დილის 12—4 ს. და საღამოს 6—8 საათამდის.

ბაქო

გერმანულ მისიაში.

ბაქოს მდგომარეობის შესახებ გერმანულ მისიის საინფორმაციო განყოფილების გამგემ შემდეგი განაცხადა: „ბაქოს აღების შესახებ ჩვენ არავითარი ცნობები არა გვაქვს. ამიტომ ამ შემთხვევაში ჩვენ, როგორც სხვა ყველანი თბილისში, ვსარგებლობთ იმ ცნობებით, რომელნიც მიუღია ადერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართველოს მთავრობის წინაშე ბ. მამედ იუსუფ ჯაფაროვს. ჩვენს ყურადღებას იქცევს მხოლოდ ის გარემოება, რომ ეს ცნობები ბ. ჯაფაროვს მიუღია ქ. განჯიდან და თვით ბაქოდან პირდაპირ დღემდე, როგორც სჩანს, არავითარი ცნობა არ აქვს არც ადერბეიჯანის წარმომადგენელს, არც სხვა ვისმეს თბილისში. აგრეთვე გაკვირვებას იწვევს ჩვენში ისიც, რომ ბ-ნი ხალილ-ფაშა, რომელიც, როგორც ვიცით გაემგზავრა ბაქოში, უკანასკნელი ცნობების თანახმად, მალე ისევ უკან დაბრუნდა. ჩვენი მხრით ბაქოში წავა დელეგაცია, რომლის მოვალეობას შეადგენს აასრულოს ბათომის ხელშეკრულობის ზოგიერთი მუხლი“.

როგორ შევიდნენ თათრები ბაქოში.

ბაქოდან ჩამოსული ქართველნი გადმოგვცემენ: „გაცხარებულ სამი დღის საარტილერიო ბრძოლის შემდეგ 15 სექტემბერს დილის 9 საათზე დაეცა ბაქო და შემოვიდნენ ოსმალები. პირველად ბაქოში შემოვიდნენ ადერბეიჯანელები და ბაქოელი თათრები, რომლებიც ოსმალთა რეგულიარულ ჯარს წინ მოუძღოდენ. 9 დღის განმავლობაში ოსმალებმა მუსრი გაავლეს სომხობას. ამით მათ სამაგიერო გადაუხადეს სომხებს, რომელთაც ბოლშევიზმის ბატონობის დროს არ დაინდეს თავისი მეზობლები. ოსმალთა შესვლამდე ქალაქიდან გაზიდეს ფული და ძვირფასი ნივთები, რბევა და ხოცვა-ჟლეტა გაგრძელდა მეორე დღის საღამომდე, სანამ ოსმალთა რეგულიარული ჯარები არ შემოვიდენ ქალაქში, რის შემდეგ აღდგენილ იქმნა სრული წესიერება. თვით ოსმალთა ჯარს არაფერი ცუდი არ ჩაუდენია.

ინგლისელთა რაზმები

ინგლისელთა რაზმები 14 სექტემბერს ღამით გემებით გავიდენ კრასნოიარსკისკენ. დასტოვეს დახოცილები, დაჭრილები და ტყვეები დაახლოვებით 1500 კაცამდე.

ქართველი რაზმები

ოსმალთა ჯარების შემოსვლამდე უკანასკნელ წუთამდე იბრძოდნენ სომხების ჯარები და ზოგიერთი რუსის ნაწილები. ქალაქში შემოსულებს პირველი შეხვდა ქართველი 26 წითელი რაზმის ბათალიონი პურ-მარილით და თეთრი ბაირაღით, რომელზედაც ოსმალური ასოებით ეწერა: „ქართველების რაზმი“.

ოსმალეთის კონსულს, რომელიც ბაქოელების რაზმს მოუძღოდა წინ, სიტყვა უთხრა რაზმის უფროსმა ი. გაგუამ. ამის შემდეგ ჩაიბარეს ქართველების შტაბი და იარაღი.

გენერალი ლენკო მაღალაშვილი

გენერალი მაღალოვი ქართულ დელეგაციის თანხლებით ამ დღეებში ჩავა ბაქოში ქართველ მოსახლეობის ინტერესების დასაცავად. იგივე გაარიგებს ბაქოდან საქართველოში ნავთის გამოტანის საქმეს.

როგორ ეპყრობიან ქართველებს.

ქართველებს ძალიან ყურადღებით და მზრუნველობით ეპყრობიან. ნურიფაშის განკარგულებით ბაქოში ტყვეთმყოფ ქართველ ოფიცრებს და ჯარისკაცებს მისცეს საგანგებო მატარებელი, რომელიც 22 სექტემბერს ღამით გამოვიდა და ტფილისში 24 ჩამოვიდა. გზაში არავითარი დაბრკოლება არ შეხვედრია, მხოლოდ ორ ადგილას გაუჩხრეკიათ. არის განკარგულება, რომ პირველ რიგში გამოუშვან დარჩენილი ქართველი მოქალაქენი, სხვა ეროვნების მოქალაქეთ ჯერ არ უშვებენ ქალაქიდანო“.

მდგომარეობა ბაქოში.

ოსმალთა ლაშქარმა ქალაქში შესვლისთანავე სრული წესიერება დაამყარა რეგულიარულ ჯარების შემოსვლის შემდეგ, ნური-ფაშის ბრძანებით ქალაქის სამ ადგილას აღმართეს სახრჩობელები და სჯიდენ მხოლოდ მძარცველ-მგლეჯელებს და დამრბეველებს.

ქალაქის თვალსაჩინო ადგილას დახვრიტეს ორი კაცი ტანისამოსის ფოლაქების ქურდობისათვის და ორი დღის განმავლობაში სახრჩობელაზედ წარწერა იყო ესა და ესენი დასჯილ იქმნენ ფოლაქების ქურდობისათვისო.

ნავთის სამრეწველოები

ნავთის სამრეწველოები გადურჩნენ ბრძოლის საშინელებას. მხოლოთ სომხების სამრეწველოებს კონფისკაცია უყვეს.

გერმანეთის წარმომადგენელი ბაქოში

გერმანიის დიპლომატიურ წარმომადგენლათ ბაქოში დაინიშნა ჰოლცი.

სომხეთი

სომხეთი და ოსმალეთი.

გერმანულ მისიის ცნობით, პირველ აგვისტოს ოსმალეთის მთავრობას დაუდგენია დაუბრუნოს სომხებს ოსმალეთის ჯარის მიერ დაკავებული ადგილები, ლური და კარაკლისი და აგრეთვე რკინის გზის ექსპლოატაცია. სომეხ ლტოლვილთა შესახებაც ოსმალეთის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, ხელი შეუწყოს მას, რომ ისინი დაუბრუნდნენ თავიანთ სახლკარს და საზოგადოთ მოწესრიგდეს ეს საკითხი.

სტამბოლის კონფერენცია

სტამბოლის კონფერენცია ოფიციალურად გაიხსნება მაშინ, როცა ბერლინიდან დაბრუნდებიან თალაათ-ფაშა და გრაფი ბერნსდორფი. როგორც ვიცით, ეს უკანასკნელნი იყვნენ წასული ბერლინში კავკასიის ახლად დაარსებულ სახელმწიფოების საქმეთა შესახებ.

ომი

დასავლეთის ფრონტზე

ბერლინი. ენკენისთვის 25. სამხედრო ცნობა. კრონპრინცის რუპრეხტის ლაშქარი. ფლანდრიაში გაცხოველებული საზვერავი მოქმედება სწარმოებს. მევრისა და გარნიკურტის ტყეებში საარტილერიო ბრძოლა გაძლიერდა. მეერთან ინგლისელების ახალმა შეტევამ ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო.

ბოჰნის ლაშქარი. ეპეის აღმოსავლეთით ჩვენ მივაღწიეთ ბრძოლის ხაზს, რომელიც გვეჭირა 22 ენკენისთვის ბრძოლებამდის. ამინიონის მდინარის და სომმას შუა ინგლისელებმა და ფრანგებმა კვლავ განაახლეს შეტევა სენკვენტინის წინააღმდეგ. ამ შეტევაში მათ ხელს უწყობდნენ ჯავშნოსნები და არტილერია. მოწინააღმდეგე გამაგრდა პენტრიუზე, გრიკურტზე და ფრანკილლ-სელენოიზე. მოწინააღმდეგის ცდამ, რათა გაეფართოვებინა თავისი მოქმედება ამ ადგილს უნაყოფოთ ჩაიარა. ჩვენმა ქვეითა ჯარმა და საპიორებმა არტილერიის და აეროპლანების მედგარი დახმარებით ხელ-ახლა დაიპყრეს პონტრიუკი და გრიკურტი. ამ ორ ადგილთა შუა მდებარე სიმაღლენი კვლავ ჩვენ ავიღეთ. ფრანკილი-სელენსი მტრის ხელშია. დანარჩენ ასპარეზზე მოწინააღმდეგის იერიშებმა ერთობ უნაყოფოთ ჩაიარა.

თათბირი

უმაღლეს სასამართლოს (სენატის) დაწესებისათვის.

25 ენკენისთვეს სასამართლო დაწესებულებათა დარბაზში გაიმართა პირველი სათათბირო სხდომა იუსტიციის სამინისტროს კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს (სენატის) პროექტის შედგენა ეროვნულ საბჭოში წარმოსადგენად. თათბირს დაესწრნენ: ეროვნულ საბჭოს იურიდიული კომისიის წევრნი, სენატორები, წარმომადგენელნი მაგისტრატურისა, ნაფიც ვექილთა საბჭოსი და საფინანსო სამინისტროსი. თავმჯდომარეობდა იუსტიციის მინისტრის ამხანაგი გრ. გველესიანი. სათათბირომ მოისმინა ორი მოხსენება: პროკურორი უთნელოვისა და სენატორი ჩებიშევისა. ორივე მომხსენებელი აღიარებენ უმაღლეს საკასაციო სასამართლოს დაუყოვნებლივ დაწესების საჭიროებას საქართველოში უფლებისა და წესიერების განმტკიცებისათვის. შეუძლებელია დატოვება თუნდაც სულ მცირე ხნით ისეთი მდგომარეობისა, როდესაც სამართლის წარმოების ორგანოები დაუმთავრებელ შენობას წარმოადგენენ, როდესაც არ არსებობს დაწესებულება, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს უკანასკნელი და ავტორიტეტული სიტყვის წარმოთქმა. უმთავრესი განსხვავება წარმოდგენილ პროექტთა შორის ის არის, რომ სენ. ჩებიშევის აზრით ამ ჟამად საკმარისია დავაარსოთ სენატი საკასაციო და სასამართლო ფუნქციებით მხოლოდ, ბ-ნ უთნელოვის პროექტით-კი უმაღლეს სასამართლოს უნდა მიენიჭოს კანონთა დაცვის ფუნქციებიც (законоохранительныя функціи), რათა სენატი საქართველოს რესპუბლიკისა ასრულებდეს იმ მოვალეობასაც, რომელიც სენატს ყველა დემოკრატიულსა და კონსტიტუციონურ სახელმწიფოებში მიკუთვნებული აქვს. კანონიერებისა და უფლების დაცვა კონსტიტუციონურ სახელმწიფოის სენატის უაღლოესი მიზანია და მას მოითხოვს თვით სახელმწიფოს ინტერესიც. დიდსა და ცხარე კამათის შემდგომ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ს. ჯაფარიძემ, ი. ზურაბოვმა, ი. დოლუხანოვმა, მ. გრუზენბერგმა, ი. ბარათაშვილმა, გ. ჟორდანიამ და სხვებმა, თათბირმა ხმის უმეტესობით მიიღო რეზოლუცია, რომლითაც სენატს ენიჭება კანონთა დაცვის უფლებაც. მაშასადამე, თათბირის აზრით, რესპუბლიკის მომავალი უმაღლესი სასამართლო იქნება საკასაციო სასამართლო სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეთათვის საადმინისტრაციო დეპარტამენტული და მასთანავე სახელმწიფოში კანონიერების დამცველი და კანონთა განმარტებელი ორგანო. არჩეულ მცირე კომისიას მიენდო საბოლოო ტექსტის შემუშავება ეროვნულ საბჭოს იურიდიულ კომისიაში წარსადგენად.

„შევარდენი“ და ვარჯიშის მეთოდი

(პასუხათ ბ-ნ ა. მანსვეტიშვილს)

ბ-ნი ა. მანსვეტიშვილმა თავის წერილში („საქართველო“ 28 მარიამობისთვე № 171) „შევარდენი“-ს წინაღმდეგ გამოილაშქრა. „შევარდნული“ ტანვარჯიში არსად არ არის განთქმული, გარდა ავსტრიის სლავიანებში და რუსეთშიო“, ბრძანებს იგი. მივმართოთ ფაქტებს. ევროპაში არსებობს საერთაშორისო სატანვარჯიშო კავშირი, რომელშიაც შედიან თითქმის ყველა ევროპის ერები, გარდა გერმანელებისა. ეს კავშირი ომამდის ორ წელში ერთხელ საერთაშორისო შეჯიბრებებს მართავდა, სადაც ყოველი ერი აგზავნიდა თავის ტანვარჯიშში გაწვრთნილთ საუკეთესო წარმომადგენლებს. შეჯიბრებები მოხდა: 1907 წ. ქალაქ პრაღაში (ავსტრია), 1909 წ. ქალაქ ლიუქსენბურგში (ლიუქსენბურგის სახელმწ), 1911 წ. ქ ტურინში (იტალია) და, უკანასკნელათ, 1913 წ. ქალაქ პარიზში (საფრანგეთი). ამ შეჯიბრებებს აწყობდენ ევროპის საუკეთესო ძალები, ვრცელ პროგრამებზე და სასტიკ პირობებში. მოვარჯიშეს უნდა შეესრულებინა მთელი რიგი სულ სხვა და სხვა გვარი ტანვარჯიშობა, როგორც სავარჯიშო იარაღით, ისე უიარაღოთაც, რბენა, ხტომა, დისკოს, ბირთის, შუბის ტყორცნა და სხვა. ესე იგი, გამარჯვება შეეძლო მხოლოთ ყოველმხრივათ გაწვრთნილს. ამ ოთხ შეჯიბრებაში ერთხელ (ლიუქსენბურგში) გაიმარჯვა საფრანგეთის მოვარჯიშეთა ჯგუფმა, ხოლო ჩეხელმა შევარდნებმა მეორე ადგილი დაიკავეს. დანარჩენ სამჯერ კი, ესე იგი პრაღაში, ტურინში და პარიზში გაიმარჯვეს

სკოლის ნაციონალიზაცია საქართველოში

(გაგრძელება)

მიუხედავად დედა-ენის ასეთი დიდი მნიშვნელობისა სწავლა-აღზრდის საქმეში და კერძოდ საგნების სწავლებაში, სკოლის და საგნების გაეროვნება—ნაციონალიზაცია მარტო ენით არ ამოიწურება. ნაციონალური სწავლა-აღზრდა ნიშნავს ბავშვის სულიერი ძალების, ნიჭის განვითარებას, მის ნაციონალური მისწრაფების, ეროვნული მისიის განხორციელებას. მთავარი დანიშნულება სკოლისა, რომელსაც მიქცეული უნდა ჰქონდეს მთელი ყურადღება მასწავლებელისა არის ჩანერგვა ბავშვებში ეროვნულ ძლიერი ხასიათისა, რათა მას შეეძლოს ცხოვრებაში მტკიცედ და მკვიდრად დაიცვას ეროვნული მცნება-ანდერძი—ერის მისსია. ეს ერთნაირად შეეხება როგორც მაღალს, ისე საშუალო და დაბალი ტიპის სასწავლებელს. საჭიროა ამისთვის გაეროვნება მთელის საგნების ციკლისა, რომლებიც შედიან სკოლის სამოსწავლო კურსში. სკოლამ უნდა მისცეს ბავშვს ობიექტიური ცოდნა სამშობლო ქვეყნის და ცხოვრების ვითარებისა. კერძოდ საგნების სწავლების შესახებ უნდა ითქვას, რომ შინაარსი სასკოლო საგნებისა: ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნების-მეტყველების, თითქმის მათემატიკისაც უნდა შეესაბამებოდეს ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას და ვითარებას. დღეს სრული ვაკხანალიაა გამეფებული ამ მხრივ ჩვენს სასწავლებლებში. ბავშვს ასწავლიან დაწვრილებით რუსეთის, აღმოსავლეთის, ბერძენ-რომაელების, საშუალო საუკუნოების ისტორიას, რეფორმაციას, რევოლუციას და სხ. ხოლო თავის საკუთარ სამშობლოს ისტორიის შესახებ კი არავითარ ცოდნას არ აძლევენ, თითქოს ქართველი ერი არც კი არსებობდეს ქვეყანაზე. კაჭკაჭივით მოგიყვება ბავშვი რუსეთის ისტორიიდან პატარ-პატარა ამბებს: ვარიაგების პირველ თავადების შესახებ, ვლადიმირ მონომახზედ, ანტონის და ფეოდოსის პეჩერელთა ცხოვრებას, იოანე მრისხანეს, ნიკონის, ბოგდან ხმელეცკის, პეტრე დიდის და სხვ. შესახებ. რაიცა შეეხება არამც-თუ საქართველოს ერის ისტორიის წინა დროის ცხოვრებას, არამედ მის ახალ დროის შესანიშნავ ცხოვრების და თავგადასავალის ისტორიას სოციალ-პოლიტიკურის წყობილების და კულტურის ვითარებას, ამის შესახებ ბავშვი ვერავითარ ცნობებს ვერ მოგცემთ. არა აქვს მას აგრეთვე ცნობა შესახებ საქართველოს ერების მეზობელ სახელმწიფოებთან განწყობილების, სამეფო და სასულიერო გვართა, თავისუფალ ერთა წყობილების, ლაშქრობის წესის, ზნე-ჩვეულების, სარწმუნოების, ქრისტიანობის დამკვიდრების, სწავლა-განათლების და სხ. ბავშვი დალაგებით ვერას გეტყვით იმისთანა ღირსშესანიშნავ ისტორიულ პიროვნებებზედაც, როგორსაც წარმოადგენენ: წმ. ნინო, მირიან მეფე, ვახტანგ გორგასლანი, დავით კურ.-პალატი, თორნიკე ერისთავი,—ათონის მონასტრის აღმშენებელი, ბაგრატ მეფე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და სხ.

ასეთივე მოვლენაა გეოგრაფიაში: ბავშვს გააცნობენ ხმელეთს და ოკეანეს, მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს, ქარს, შემოატარებენ აზიას, აფრიკას, ამერიკას, ავსტრალიას, ევროპას, აძლევენ ცნობას მათ ბუნების, მცენარეულობის, ცხოველების, სახელმწიფოთა წეს-წყობილების შესახებ, ხოლო არც ერთი სიტყვა მათი სამშობლო ქვეყნის შესახებ, თითქო იგი დედა-მიწის ზურგზედ არ იხსენებოდეს. ამასვე ვამჩნევთ ბუნების მეტყველების, მათემატიკის სწავლების საქმეში. ახლანდელს ჩვენს ამოცანათა კრებულის წიგნებში ყველაფერს აქვს ადგილი დათმობილი: არტილერია, ბატარეია, რემონტესი, ბერკოვეცი, ჩეთვერთი, ჩეტვერიკი, ბოჭკა, ვედრო, დესეტინა, ვერშოკი, ალტინი, ფუტი, ლინია, იოტი, ხოლო ვერ შეხვდებით ქართულ საზომ-საწონს: ურემს, კოდს, საპალნეს, ცალს, ჩაფს, თუნგს, ოზმას, ადლს, სტილს, ლატრის, კაბედოს და სხვ.; ბუნების მეტყველებაში: ჩვენს ვაზს, თამბაქოს, ბამბას ბრინჯს, კამბეჩს, ცხვარს და სხვ. ჩვენი თვლის სისტემა, როგორც ვიცით, ოციანია, ხოლო რუსების და ევროპიელების—ათიანი.

ეს უწესობა სწავლის საქმეში დღევანდლამდის გამეფებულია ჩვენს სკოლებში რუსეთის რეჟიმის ზედ-გავლენით. ეს ძალიან სამწუხაროა, რადგანაც სკოლის დანიშნულებაა შეამზადოს ბავშვი პრაქტიკულად იმ ცხოვრებისათვის, სადაც დაბადებულა და სადაც მას უხდება მოქმედება. ქართული სახელმძღვანელო წიგნები თავის შინაარსით და მიმართულებით სრულებით უნდა შეუთანხმდნენ ჩვენი ქვეყნის და ერის ყოფა-ცხოვრებას. ივინი უნდა გაქართულდნენ არამც-თუ ენით, შინაარსითაც.

სწავლება ყველა საგნებისა უნდა სწარმოებდეს, უეჭველად, დედა-ენაზე მთელი კურსის განმავლობაში. სწავლა განათლება ერთი მძლავრი ელემენტთაგანია სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა. ამიტომ იგი უნდა მოეწყოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოთხოვნილების თანაბარად, ხოლო ეს სახელმწიფოებრივი მოთხოვნილება გვაიძულებს შევქმნათ ნამდვილი ეროვნული სკოლა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ეს უპირველესად გამომდინარეობს პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, ევოლიუციურის განვითარებისაგან. რაც უფრო ღრმავდება სკოლის პრობლემა, იმდენად მკვიდრდება და მტკიცდება დასკვნა, რომ სკოლის საქმეში მნიშვნელობა აქვს არა იმას, რომ ბავშვს მაგრად ჩაუკენჭოს გონებაში ნავარაუდევი ჯამი ცნობებისა, არა შაბლონიურს მათ შეთვისებას, არამედ აღზრდას, რომელიც ვრცელდება და იპყრობს მთლად ბავშვის—ადამიანის ბუნებას, მოჰყავს მოძრაობაში მთელი მისი არსება. ღვთის განგებით კი არ გადაწყდება, თუ ვინ რად გადაიქცევა ცხოვრებაში, ს.-დემოკრატად, თუ ნ.-დემოკრატად, ს.-რეულიციონერად, თუ კონტრ-რევოლუციონერად, კონტად, თუ კანტად, სასარგებლო მოღვაწედ, თუ საზოგადოებრივ ცხოვრების მავნე არსებად. გარდამწყვეტი მნიშვნელობა ამ საქმეში აქვს მემკვიდრეობას და წრეს, რომელშიაც სცხოვრობს და მოქმედობს ადამიანი. თვითეულს ინდივიდუმს მინიჭებული აქვს განსაზღვრული ფიზიკური და სულიერი მსვლელობა, რომლის განვითარება დამოკიდებულია მხოლოდ იმ პირობებზე, რომელშიაც უხდება ცხოვრება ადამიანს. ექსპერიმენტალურის ფსიხოლოგიის დასკვნით ბავშვი წარმოადგენს უმაღლეს ქმნილებას, რომლის განვითარებას არ უძევს საზღვარი. იგი წააგავს ჩვილ თიხას, რომლის შეზელვით როგორ ფორმასაც და მოხაზულობასაც მისცემთ მოსწავლეს. ჩვენი შეხედულობა სკოლის დანიშნულების შესახებ სრულიად უერთდება სლავიანების დიდ პედაგოგის ამოს კომენსკის შეხედულობას, რომელიც მოითხოვდა „სწავლის განსაზოგადოებას ყველასათვის, ვინც დაბადებულია ადამიანად და ვინც ღირსია ამ სახელწოდებისა“. ეს სკოლის საკითხი არის ნაწილი აღზრდის იმ დიადი პრობლემისა, რომელიც შეგნებულად, თანახმად აღზრდის ევოლიუციის კანონებისა, მოითხოვს შეუწყოს ხელი ბავშვის ფიზიკურს, სულიერს და ზნეობრივს განვითარებას. რა მიზნით, იკითხავთ! ამაზე ჩვენ მივუგებთ რიჩარდ ვაგნერის სიტყვებით: „აღზარდოს ბავშვი ძლიერ კაცად, პატიოსან კარგ მამულიშვილად“. აღიზარდოს იმ კეთილ კაცად, რომელიც ნაგულისხმევი აქვს, ზეგარდმო შთაგონებით, დიდს მსოფლიო მგოსანს შილლერს უკვდავ თავის თხზულებაში: „Die Kunstlev“: „აბა, რა მშვენიერება ხარ, შენ კაცო! სდგეხარ კრძალულად, დაფნის გვირგვინით შემკული, საუკუნეთა კარის ბჭეში, კეთილშობილ ამპარტავნულ მედიდურობით, ჭკუა-გონებით განსპეტაკ-განბრწყინვალებული და სრულიად მრავალ-მოქმედებიანის მყუდროებით შემოსილი. შენ ხარ ყველაზე მწიფე საუკუნეთა სრული ნაყოფი“.

ხალხის განათლების ისტორია ევროპაში წარმოადგენს საოცარ მაგალითებს: ყველგან, სადაც კი საგნების სწავლება დედა-ენაზედ სწარმოებს, იქ სკოლა უდიდეს ძალად შექმნილა, ხალხი განვითარების გზაზედ დამდგარა, გონებით და ზნეობით იგი უზენაეს კეთილდღეობას მოსწევენია. ინგლისის ისტორიკოსი მაკოლეი ამ სიტყვებით ახასიათებს სკოლის გავლენას შოტლანდიელთა ყოფა-ცხოვრებაზედ: „ასორმოცდა-ათის წლის წინად,—ამბობს იგი,—ინგლისი ჰყაოდა და წარმოადგენდა მშვენივრად მოწყობილ ქვეყანას, შოტლანდია კი ღარიბი და უმეცრებაში გახვეული იყო. შოტლანდიელი სახელმწიფო მოღვაწენი საკოწარკვეთილნი შეჰყურებდნენ თანამემამულეთა ამნაირ გაჭირვებულს—გაპარტახებულს მდგომარეობას; მაგრამ აი, ედინბურგის პარლამენტი აძლევნებს სკოლების ახალ კანონს და ხალხის ყოფა-მდგომარეობა უმაგალითო და საკვირველ ცვლილებას განიცდის. შოტლანდიელები გარდაიქმნენ ერთს საუკეთესო განათლებულ ერად. ყველგან იგინი პირველ ალაგს იჭერენ. რამ მოახდინა, იკითხავთ, ეს საკვირველი ცვლილება? შოტლანდიის ჰავა-ბუნება უწინდებურად გაყინული დარჩა, მთები სალი და უნაყოფო, ხასიათიც შოტლანდიელებს არ შესცვლიათ. ეს სასწაული მოახდინა სწავლა-აღზრდის მომართვამ დედაენაზედ. მაგრამ მარტო შოტლანდიის მაგალითი როდი ღაღადებს ხალხის განათლების დიდს მნიშვნელობას. მთელი ახალი კაცობრიობის ისტორია ამისავე დამამტკიცებელია. ბუნებით ღატაკმა და მწირმა ნორვეგიამ სახალხო სკოლების მეოხებით ისეთს კეთილდღეობას მიაღწია, ისე შემცირა სიკვდილის მოვლენა და ისეთი მტკიცე სიყვარული თავისუფლებისა, დამოუკიდებლობისა და პატიოსნებისა დაამყარა მკვიდრთა შორის, რომ ბუნებით უმდიდრესს სახელმწიფოებისათვისაც ყველა ეს ჯერაც სანატრელია. შვეციაში და დანიაში სახალხო სკოლებისავე გავლენით ავ-კაცობა მეტად იშვიათ მოვლენად გარდაიქცა. წარსულ საუკუნეში უძლური და ღარიბი პრუსია სახალხო სკოლების მეოხებით ერთს უძლიერეს სახელმწიფოდ შეიქმნა. ასევე მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვ.

ჩვენ, ქართველებს, ჯერაც არა გვაქვს გამორკვეული დიადი მნიშვნელობა ხალხის განათლებისა. ევროპა მოქმედებს ამ მხრით სრულიად სხვა იარაღით: ისეთისმხნეობით ებრძვის ხალხის უმეცრებას, რომ ჩვენს დროს დაერქვა „პედაგოგიური საუკუნე“. ჩვენც უნდა დავამტკიცოთ, რომ დროის მოთხოვნილება გვესმის, საჭიროა შევიგნოთ მრავალმნიშვნელოვანი დასკვნა მეცნიერებისა: „მომავალი ეკუთვნის სახალხო სკოლას; დადგება მალე ის დრო, როდესაც ქვეყანას მოიმკის და მონადირებს, უმაღლეს პატივს და დიდებას დაიმსახურებს სახალხო სკოლა და მასწავლებელი“.

(შემდეგი იქნება)

ა. ნატროშვილი.

ეროვნული

ჩეხელ შევარდნებმა, მეტადრე ტურინში და პარიზში იმათ სასტიკად დაამარცხეს თავისი მეტოქეები.

გარდა ამისა, „შევარდნობა"-მ ჩრდილო ამერიკაშიაც გაიდგა ფეხი და, კიდეც დიდი სახელიც მოიხვეჭა. სრულიათ ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების სატანთვარჯიშო შეჯიბრებაზა, რომელიც მოხდა ქალაქ ჩიკაგოში 1912 წელს (თუ რიცხვში არ ვცდები, რადგან ყველა ეს ცნობები ზეპირათ მომყავს) სხვა ყველა მოვარჯიშეებზე ამერიკელ შევარდნებმა გაიმარჯვეს. იგივე ამერიკელ შევარდნებმა სრულიათ შევარდენთა ყრილობაზე პრაჰაში 1912 წელს 1400 თავისი მოვარჯიშე გამოგზავნეს.

ვგონებ, რომ აქ მოყვანილი ფაქტები უკვე საკმარისათ ამტკიცებენ, თუ რამდენათ მართალია, ვითომ „შევარდნული ტანვარჯიში არსად არ არის განთქმული". მაგრამ მანსვეტაშვილი სწერს კიდევ რომ „ბევრ ქვეყნებში იგი „შევარდნობა" მთლად მიატოვეს უვარგისობის გამო, სხვებიც აუცილებლათ იმავე გზას დაადგებიან". დიდათ სასიამოვნოა და სასურველი, ტანვარჯიში შემოიღოს და შემდეგ მიეტოვებია. პირიქით შემდეგ მაგალითს მოვიყვან. 1908 წელს ჩეხებმა მიიღეს ინგლისელებისაგან ოფიციალური დაპატიჟება ინგლისში შევარდნულ ტანვარჯიშის ჩვენებისათვის. ჩეხებმა რაღაც პოლიტიკური მოსაზრებათა გამო უარი განაცხადეს. მაგრამ მაშინ ინგლისელებმა პრაჰაში თავის წარმომადგენლები გაგზავნეს, რომელთა განმარტეს, რომ ინგლისს სურს ტანვარჯიშში ახალ გზას დაადგეს და ამიტომაც მას სხვა და სხვა ტანვარჯიშული მეთოდი აინტერესებს,—უმეტესათ კი შევარდნული. მაშინ შევარდნები დათანხმდენ და ლონდონში 8 შევარდენთა ჯგუფი გაგზავნეს. ლონდონში 1908 წეს მოხდა სამი ტანვარჯიშულ მეთოდის ჩვენება-შეჯიბრება: შევარდნულის, ფრანგულის და ინგლისურისა. და აქ, ინგლისის დედა-ქალაქში, სადაც ვარჯიშობა ძველისძველიდან განთქმული იყო, შევარდნებმა საოცრად გაიმარჯვეს, ინგლისელები განცვიფრებაში და აღტაცებაში მოიყვანეს უმეტესად იმით, რომ ინგლისელები, სხვათა შორის, იმ საგნებშიაც დაამარცხეს, რომლებშიაც თვით ინგლისელები განთქმული იყვნენ, ესე იგი ხტომაში, რბენაში და თავისუფალ მოძრაობაში. ინგლისელებმა პირველი ჯილდო შევარდნებს მიართვეს, რომელიც იყო ძველებური მძიმე ვერცხლის ფარი. და ამ ფარით გამარჯვებულ შევარდენთა პრაჰაში დაბრუნება კაცს ძველ საბერძნეთის დროს მოაგონებდა. სადგურთან მათ ორასი-ათასზე მეტი ხალხი მიეგება და ამ მიგებების დიდებული სურათი, დამსწრეთა სიტყვებით, ყოველ მნახველს სამუდამოთ გულში ჩარჩება.

ლონდონში მაშინ ფრანგებიც დამარცხდენ. მხოლოთ 1912 წ. პრაჰაში შევარდენთა დიდებულ ყრილობის დროს, სრულიათ საფრანგეთის სატანვარჯიშო კავშირის თავმჯდომარემ ხალხის და ახალგაზდობის ფიზიკურ განვითარების შესახებ შემდეგი სთქვა: „ჩვენ, ფრანგებს, მხოლოთ ჩეხების კუდშიღა უიმედო ჩანჩალი დაგვრჩენია". ეს სიტყვები პრაჰის ყრილობის დამსწრეს სრულიათაც არ გააკვირვებენ. ჩეხელ მოზარდთა და ახალგაზდობის ცოცხალი და მხნე გამომეტყველობას ყველა აღტაცებაში მოჰყავდა. მხოლოთ ამ სურათის ნახვა საკმარისია იმისთვის, რომ კაცი აშკარად და სამუდამოთ დარწმუნდეს, თუ რამდენათ შემცდარია ა. მანსვეტიშვილის აზრი, ვითომ: „შევარდნული მეთოდი მოზარდის ნორჩი სხეულისთვის მავნებელი, დამამახინჯებელი არის". მაგრამ, ამის შესახებ, მანსვეტაშვილის მაგივრათ, სჯობს ჩეხელთა მედიკოსებს შევეკითხოთ, რომლებიც ამ საგანს უკეთ იცნობენ და, სწორეთ, ამიტომაც ასეთ ენერგიით სცდილობენ, რომ თავის ხალხში მხოლოთ შვედურ ტანვარჯიშულ მეთოდს, რომელიც: „მთლათ მეცნიერულათ არის შედგენილი და საფუძვლათ უძევს ანატომიის, ფიზიოლოგიის და ჰიგიენის ცოდნაო". ტანვარჯიშში ცნობილია, რომ როგორც შვედურს, ისე ყველა თანამედროვე ტანვარჯიშულ მეთოდს უცილოთ სჯობს, სამწუხაროთ დაკარგული, ძველი ბერძნული მეთოდი. ეს ძველი ბერძნული ტანვარჯიში ეხლაც ყველა ერებს მიუღწეველ იდეალათ აქვსთ დასახული, როგორც ტანის ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებით, ისე მთელი ხალხის ზნეობრივი აღორძინებით, მიუხედავათ იმისა, რომ ძველ ბერძნების დროს არც ანატომია, არც ფიზიოლოგია და არც ჰიგიენა ეხლანდელივით ცნობილი არ ყოფილან. თუმცა შევარდნულ ტანვარჯიშში ანატომიის, ფიზიოლოგიის და ჰიგიენას არა ნაკლები ადგილი უჭირავს, ვიდრე შვედურში, მაგრამ მაინც, ვერც შევარდნული ტანვარჯიში შეედრება ძველ ბერძნულს. იგი ბერძნულ მეთოდს ჰბაძავს, და, ჩვენის აზრით ყველა სხვა თანამედროვე მეთოდთან შედარებით—უფრო ნაყოფიერათ. ამის დასამტკიცებლათ შევარდნული მეთოდის ძირითადი პრინციპები სხვა გვარ მეთოდების პრინციპებს შევადაროთ.

ამერიკის ტანვარჯიში გართულია შეჯიბრების პრინციპით. ამერიკელი მოვარჯიშე სცდილობს წარმატოს აქამდის მიღწეული ტანვარჯიშული „რეკორდები" და მართლაც ამაში ამერიკელებმა ყველას გაასწრეს და თითქმის ყველა, „რეკორდები" გასაოცარ სიმაღლემდის აიყვანეს. ამერიკის ტანვარჯიშის ჯიბრობითი ხასიათი, ჩვენის აზრით, ახალგაზდობის ზოგიერთ არა სასურველ ზნეობრივ თვისებებს ანვითარებს და გარდა ამისა, ტანის ყოველმხრივ, ჰარმონიულ გაწრთვნას ერთგვარათ აფერხებს, რადგან, მაგალითად, გამოჩენილ მორბენალს და მოხტუნალს კუნთების ერთი ჯგუფის განვითარება დანარჩენ კუნთების განვითარებას უნდა სჭარბობდეს; სიმძიმეების მტყორცნელს—კუნთების მეორე ჯგუფი და სხვა.

გერმანული, ეგრეთ წოდებული ტურნერების ტანვარჯიში შევარდნულს, თითქმის სრულიათ არ ემსხვავება და ამიტომაც გერმანიაში ტანვარჯიში ასე გავრცელდა ამ უკანასკნელ დროს. გერმანელ მოვარჯიშეთა, ანუ ტურნერთა რიცხვი ომის წინ ერთ მილიონ ნახევარს აღემატებოდა. შევარდნული ტანვარჯიში იგივე გერმანულია, მხოლოთ შევსებული და გაუმჯობესებული. მაგალითად, შევარდნულ ტანვარჯიშმა არ იცის ის ეგრეთ წოდებული სპეციალური, ანუ განკერძოებული ვარჯიშობანი, სადაც მოვარჯიშე მხოლოთ ერთ რამე იარაღზე ვარჯიშში იწვრთნება და თავის დარგში მართლა გასაოცარ მწვერვალზე ადის, რის გამო მოვარჯიშეს ტანი, ამერიკელ მოვარჯიშის მგზავსათ მხოლოთ ცალმხრივათ იწრთვნება. გერმანელები ამ განკერძოებითი ვარჯიშობას მფარველობენ, ხოლო შევარდნულ მეთოდიდან კი იგინი გამორიცხული არიან.

ფრანგების და ბელგიელების ტანვარჯიში გერმანულიდან გადმოღებულია იმისგან და თითქმის არ განსხვავდება.

ფინლიანდიაში ტანვარჯიში ძლიერ გავრცელებულია, მაგრამ, მანსვეტიშვილის რწმუნების წინააღმდეგ, ფინლიანდიაში, შვედური კი არა, მიღებულია ეგრეთ წოდებული, მსუბუქი ათლეტიკა. ეს შესანიშნავი, დიდათ სასარგებლო ტანვარჯიშული მეთოდი შევარდნულ მეთოდში ერთიანად შედის და უკანასკნელის ერთს მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

შვედური ანუ ლინგის მეთოდი კი უმეტესად შემდეგში განსხვავდება. იგი მეცნიერულათ იკვლევს, თუ რომელ მოძრაობას, რომელ კუნთზე ან სხეულის რომელ ნაწილზედ აქვს გავლენა და მერე, ამ გამოკვლევის მიხედვით, სცდილობს მოძრაობანი ისეთ რიგათ შეთხზას, რომ სხეული ყოველმხრივ განვითარდეს. ამ თეორიულათ დიდათ სასარგებლო და საყურადღებო მეთოდს, პრაქტიკულათ კი ერთი დიდი ნაკლი აქვს: ზემოხსენებულ რიგათ შეთხზული მოძრაობანი ხშირათ ნამეტანი უხეში და კადეც მომაბეზრებელი გამოდიან და ამიტომაც სრულიათაც თავის მიზანს ვერ აღწევენ. ამის გამო, მაგალითად, შვეციაში, მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობა ხელოვნურათ ყოველ მხრივ ეხმარება თავის ხალხში ტანვარჯიშის გავრცელებას, მთელ სახელმწიფოში მოვარჯიშეთა რიცხვი 2500 არ აღემატება (გარდა მოწაფეებისა), მაშინ, როდესაც პატარა ჩეხეთში, სადაც ავსტრიის მთავრობა მხოლოთ იმას ცდილობს, რომ შევარდენთა კავშირის მოქმედება როგორმე შეზღუდოს, მოვარჯიშეთა რიცხვი ომის წინ 160.000-ზე მეტი იყო! (გარდა მოწაფეებისა). შვედური ტანვარჯიშის არა ბუნებრივი, ორტოპედიური ხასიათის გამო, მისი ხალხში გავრცელება ძალიან ძნელია, იმისთანა ხალხშიაც კი, როგორიც არიან მაღალ კულტუროსანი, მწყობრ მუშაობას მიჩვეული შვედელები.

შევარდნული ტანვარჯიში კი, თუმცა თითქმის მთელ შვედურ ტანვარჯიშს შეიცავს, როგორც ნაწილს, მიუხედავად ამისა, თავის მეთოდში კი შვედურს გაემსხვავება. შევარდნული მეთოდის ძირითადი აზრი იგივეა, რაც ძველ ბერძნულისა: „ლამაზი და კარგი". ესე იგი, აქ დიდი მნიშვნელობა სილამაზე და ესთეტიური მხარე მათი სარგებლობის მაჩვენებელია: იქ, სადაც შვედელები ფიქრობენ, რომ ამ და ამ მოძრაობით იგინი ამაგრებენ მარჯვენა მკლავის კუნთს, და ან ხერხემალს ასწორებენ. შევარდნები სცდილობენ, რომ ულამაზესი მოძრაობანი საუკეთესოთ, მსუბუქათ აასრულონ. მათ სწამთ, რომ ამითი მარჯვენა მკლავის კუნთიც უფრო მაგრდება და ხერხემალიც უკეთ სწორდება. მაგრამ, იმავე დროს, შევარდნული მეთოდი კრძალავს ცალმხრივობას. რაც უნდა ლამაზი იყოს ეს და ის მოძრაობა, მოვარჯიშეს ეკრძალება მითი ზედმეტი ვარჯიშობა. ამით ჩვენ ვაღწევთ ტანის ლამაზ მოქნილობასა. მართალია, შევარდნულათ გაწვრთნილის ტანი ძველ ბერძნულათ გაწვრთნილისას ვერ შეედრება, მაგრამ ეხლანდელ სხვა გვარათ გაწვრთვნილის ტანს რომ შევადაროთ, ჩვენ ადვილათ დავრწმუნდებით, რომ მართლა შევარდნული მეთოდი სხვებზე უფრო სწორ და ბუნებრივ გზაზე დგას და ოდესმე, იმედია, ძველ ბერძნულსაც კი არ ჩამოუვარდება. და, ამასთან ერთად, იმის ეჭვი აღარ დაგვრჩება, რომ ეს ჯანმთელობისადმი არა პირდაპირი გზა—სილამაზე—მართლა სასურველი და უუმოკლესის, ხოლო ამასთან ერთად ესთეტიური გრძნობების განვითარება—ხალხისთვის სასარგებლო და ამამაღლებელი. ეს ბუნებრივი საფუძველი შევარდნულ მეთოდისა, და მასთან ერთად, ძველ ბერძნულისა უტყუარი საბუთი არის მისი მომავალი ძლიერებისა, რადგან მხოლოდ მასშია შევარდნული ტანვარჯიშის ასეთი გასაოცარი ხალხის მიმზიდველი ძალა.

მაგრამ შევარდნულ მეთოდში მეცნიერებასაც თავისი ადგილი უკავია. სილამაზის თვალსაზრისით შეთხზულ მოძრაობებს ყოველმხრივ მეცნიერულათ იკვლევენ და შეისწავლიან. შვეციასავით, პრაჰაშიაც სატანვარჯიშო ინსტიტუტი არსებობს, სადაც გამოჩენილი შევარდნები თავის საბოლოვო სწავლას ღებულობენ მაგრამ ცნობილია რომ ტანვარჯიშის წყობის და მეთოდის მხოლოთ თეორიულათ, წიგნებით შესწავლას არავითარი ღირებულობა არა აქვს; თეორიასთან ერთად აუცილებლათ საჭიროა ხანგრძლივი პრაქტიკული მეცადინეობა და თუ ბ. მანსვეტაშვილი ამას გულისხმობდა, როცა სწერდა, რომ მას „სხვა და სხვა მეთოდი შეუსწავლია", მაშინ მე, როგორც ჩვენი ახლათ დაარსებული საზოგადოება „შევარდენი"-ს თავმჯდომარის ამხანაგი, წინადადებას ვაძლევ მას, რომ შემოვიდეს წევრათ ჩვენ საზოგადოებაში და გახსნას იქ შვედური ტანვარჯიშის განყოფილება. ამით იგი ჩვენ ერს მეტს სარგებლობას მოუტანს, ვიდრე იმითი, რომ სცდილობს თავისი ნაწერებით ჩაფუშოს ახლათ დაწყებული დიადი საქმე. ჩვენ მას შვედური ტანვარჯიშის მოწყობაში შეძლების დაგვარათ დავეხმარებით. ვეჭვობ, მაგრამ, თუ ბ-ნი მანსვეტაშვილი 4—5 ნამდვილათ მომეცადინე მოვარჯიშეს მაინც მოიპოვებს, ამით ჩვენ დიდათ გაგვახარებს.

ამ წერილში მე მხოლოდ შევარდნულ ტანვარჯიშის მეთოდს შევეხე. მაგრამ, საზოგადოება „შევარდენი"-ს დაარსებას, მეთოდის შემოღების გარდა, ბევრათ უფრო ფართო და დიადი მნიშვნელობა აქვს. ეს არის მთელი ეგრეთ წოდებული, შევარდნული იდეის განსახიერება. ამაზე შემდეგ.

გიორგი ნიკოლაძე.

გადმოსხვენილთა თავგასულობა

სომხებისაგან ტანჯულ-წამებულ ქართველ მაჰმადიანის მდგომარეობას დავსტიროდი და თურმე შინ, ჩვენს ოჯახში, ჩვენს სამშობლო ქვეყანა-საქართველოში ჩვენ ქართველები ამ ვაჟბატონებისაგან ქართველ-მაჰმადიანებზე (იხილე „საქართველო" № 147—1917 წ.) უარეს მდგომარეობაში ვყოფილვართ. აი, ბატონებო, მაგალითიც: კვირას, დღისით, თერთმეტ საათზე ავლაბარში გამოვიარე. ფორაქიშვილის სახლის წინ ბაღჩასთან აუარებელი გამოქცეულ კრუა-სომხებს თავი მოეყარათ და რაღაცაზე ყვიროდნენ. კრუებთან ერთად 40—60-დე ადგილობრივი სომხებიც იყვნენ. მე თავი მოვარიდე, გზას გადუხვიე, მთვრალი ხალხია, უსიამოვნება არ შემახვედრონ მეთქი.

—„შან-ვორთი, შან-წიწკერა ვრაცუა"—მომესმა ამ დროს ხმა.—„წეწე"! მოჰყვა მას ვიღაცას ბოხი ხმა და ხალხი აირია; მე ცნობის მოყვარეობა აღმძრა, ვერ მოვითმინე, ავედდი, ბრბოსაკენ გავეშურე.

— რას უყურებ, დაარტყი, ღმერთის სიქა გამოაცალე რადა, მაგ ტუტუც ვრაცუა მამაძაღლს, დაიღრიალა ჩემს გვერდით ერთმა ზორბა ტანის, მოკლე ახალუხიანმა კაცმა და ძრიელის მკლავით ბრბოს გარღვევა დაუწყო, ის ქართველისაკენ მიეშურებოდა. ბრბოში ლანძღვა-გინება ქართველებისადმი თან-და-თან ძრიელდებოდა, ყველანი ქართველებს აგინებდნენ, ყაჩაღებს უძახდნენ, თბილისი ჩვენია, თქვენ „ვრაცუებო", თქვენა, აქ რა გინდათ, დაგვაყენეთ ჩვენს ქვეყანაში, წადით თქვენ—თქვენ ქუთაისში, მოგვშორდით, დაგვანებეთ თავი, მოისმა რამდენიმე სომხის ხმა. თუმც ბრბოში მიახლოვება ჩემთვის, როგორც ქართველისათვის, საშიში იყო, მაგრამ გულმა არ დამიჯერა, მინდოდა გამეგო, თუ რაში იყო საქმე და ბრბოში შევიჭერ. ოხ, ღმერთო ჩემო, რა ვნახე! ბრბოს ერთი ქართველი ჩაეგდო ხელში და თვით გასამართლებას ემუქრებოდა. ის იყო, თუ მილიციონერები არ მოსულიყვნენ, გაასამართლებდნენ კიდევაც—და არ იკითხამთ, მკითხველო, რისთვის? აი, რისთვის: ეს ქართველი, როგორც გამოირკვა, ყოფილა ზაქარია ბენდიანიშვილი, ფორაქაშვილის სახლის პირველ სართულში სასმელ-სანოვაგის სავაჭრო ჰქონია; მისთვის ადგილობრივი უბნის კომისარს უბრძანებია, თუ შენს სავაჭროს წინ ქვაზე ვინმე მზეთ-უმზირეს („სემიჩკა"). მტკვერავი ჩამომჯდარი ვნახე, ოქმს დაგიწერ და დავაჯარიმებო. კვირას ხსენებულ დროს მზეთ-უმზირეთი კალთა სამსე სომხის კრუები მოგროვილ არიან, ჩამომსხდარან დასახელებულ სავაჭროს წინ ქვაზე და დერეფანი მზეთ-უმზირეს ნაჭუჭებით მოეფინათ. ბენდიანიშვილი სავაჭროდან გამოსულა, აუხსნია მათთვის კომისარის მუქარა და უთხოვნია წასულიყვნენ იქიდგან, მაგრამ კრუებს ყურადღებაც არ მიუქცევიათ, სიცილი დაუწყვიათ და რომ ბენდიანიშვილი გაეჯავრებინათ მეტ სისწრაფით პირიდან მზეთ-უმზირეს ნაჭუჭების ფრქვევა დაუწყვიათ, ბენდიაშვილი გაცხარებულა, კრუებს დამუქრებია, მილიციონერს დაუძახებ და ყველას აქედან გაგყრითო, მათ გული მოსვლიათ, როგორ თუ „ჩვენს ქვეყანაში" არ გვაყენებთო და ბენდიაშვილს შეტევით გარს შემოხვევიან, კრუებს ადგილობრივი სომხებიც მიშველებიან და რომ ბედზე მილიციონერები ჩიქოვანი და მეორე მილიციონერი, რომლის გვარი დამავიწყდა, არ მიშველებოდნენ, უეჭველია ბენდიაშვილი მხეც კრუების უდანაშაულო მსხვერპლი გახდებოდა.

ბატონებო, თანამემამულენო, საქართველოს მოქალაქენო, ნუთუ ჩვენს ტანჯულ-წამებულ სამშობლოს არ ეყოფა ის აუტანელი ტანჯვა-წვალება და გლეჯა-წეწვა რაც გადიტანა ესოდენი ხნის განმავლობაში, რომ დღესაც ჩვენი მეზობელი ერი, ის ერი, რომელსაც რამდენიმე ათასი წელიწადი მევობრულად ხელს უწყობდით, ქართული სტუმართ-მოყვარეობით ჩვენივე პურ-მარილით უმასპინძლდებოდით, ვაჭმევდით, ვასმევდით, ვამდიდრებდით ჩვენისავე ქონებით, ხოლო ერთ დროს ფიზიკურ განადგურებისაგანაც დავიხსენით, და ნაცვლად მადლობისა ცინიკურად დაგვცინის: „ვრაცუა"—ო. საზღვარიც უნდა ჰქონდეს თუ არა ამ ჩვენს დამამცირებელს მოთმინებას. საჭიროა, ამ წერილის დაბეჭვდის თანავე, სანამ სომხები შემოისყიდიან ზემოდ დასახელებულ პირებს და სიმართლეს უარს აყოფინებენ, გამოიძიონ ეს საქმე და ერთჯერ და სამუდამოდ ბოლო მოუღონ ზოგიერთ სომხების შეუწყნარებელ ყოფა-ქცევას ჩვენს ქვეყანაში.

კ. მარტვილელი.

თეატრი და მუსიკა

სახელმწიფო თეატრი. დღეს პირველათ მიდის „პიკოვაია დამა". დირიჟორობს ბ. სტოლერმანი. მონაწილენი: ქ. სკვორცოვაია და ბ. კაიშინი. დასი ამზადებს „ლოენგრინს" და „ჰოფმანის ზღაპრებს".

„ლადია არგონავტოვ. მეორე დღე ახალი პროგრამის მეექვსე ციკლის. ახალი ნომრები: „ესპანური დუეტი"; „ტენორი და რეცენზენტი სერგეი გოროდეცკის „ჩაი-ხანა. ჟილ-ბლაზის (სანდრო ყანჩელის) „მწყემსი ქალის სიმღერები" მუსიკა ვეჰერლინის.

რედაქტორი **გერონტი ქიქოძე.**

განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

			საათი	წ.
თბილისიდან გადის				
ფოთისკენ	№ 23		7	50
„	№ 3	ღამის	10	30
ქუთაისისკენ	№ 9/10	საღამ.	7	17
განჯისკენ	№ 4	ღამის	11	10
„	№ 8	დღის	3	35
სანაინისკენ	№ 4/30	დღის	1	—
თბილისში მოვა				
ფოთიდან	№ 24	შუად.	12	47
„	№ 4	საღამ.	6	54
ქუთაისიდან	№ 11/12	დილის	6	53
განჯიდან	№ 3	საღამ.	4	30
„	№ 7	დღის	8	30
სანაინიდან	№ 40/3	დილის	11	—

თბილისის დროით.

მ-დ [illegible]
ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

იყიდება
სახლი

ცნობების მიღება შეიძლება: მოსკოვის ქუჩა № 20, მესამე სართული, ბინა № 4; ბ. გაჟონია. (5—1)

იყიდება
პიანინო ბეკერისა

მისამართი: მოსკოვის ქ. № 20 მესამე სართულზე, ბინა № 4; გაჟონია—ფასი 2,600 მ. 3—1

* * *

გიყვარს შენ თეატრი,
უნივერსიტეტი?
რად გინდა რეკლამა,
ანდა ეტიკეტი?!

იყიდე ბილეთი
უხვ-მოგებიანი,
იაფი, ხულ ოცდა
ხუთ მანეთიანი!

იყავით ესთეტნი,
იყავით ლვ ჟიანი,
რომ უფრო ბრწყინავდეს
თქვენი ცა მზიანი!

მერწმუნეთ, იგია
მდიდარი, ჭკვიანი,
ვისაც ბილეთები
აქვს მოგებიანი!

იჩქარეთ, მანამ ჯერ
არ არის გვიანი:
იყიდეთ ბილეთი
უხვ-მოგებიანი!

შაბათს, 28 ენკენისთვეს, საღამოს 7 საათზე, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხდება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის

მეორე რაიონის წევრთა
საზოგადო კრება

დღის წეს-რიგი: 1) რაიონის კომიტეტის მოხსენება.
2) [illegible] მოხსენება.

3—2

ვეძებ
ორ ოთახს, ან ერთს

კარგად გაწყობილს, ელექტრონის განათებით, გოლოვინის პროსპექტის რაიონში. მისამართი „საქართველოს" რედაქციაში. ტელეფონი 15—73, 11 საათიდან 1 საათამდე, ლ. ჯაფარიძეს.
3—4

ექიმი
გ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

ქალ. ქუთაისში
მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა
ქირ. და ქალთა სნეულებათა

საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებ.

მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის
ქებულიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

გაიხსნა
თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.
ტელეფონი 5—97.

მარტის 20 გაიხსნა ახალი
სამკურნალო
უპოვრებისა ავადმყოფთათვის
ექიმ ი. გ. მქინარიშვილის და ლ. გ. ნაზარეთიანცის

საავადმყოფოში იარსებებს კბილის **საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.**

მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი" ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.
ელექტრო-ტერაპია და მასსაჟი.
მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.
[illegible] 15.36 [illegible]

[illegible] მიღება
[illegible]
ქალანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კალეგთა [illegible] პუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგ[illegible] სნეულებიან ავადმყოფებს მიი[illegible] დილის 8—9-მდე საღამოს [illegible]
ტელეფ. № 17—21.

სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.